ბედნიერი იყოს ახალი, 1972 წელი!

„სამშობლო“

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის № 24-25 (280) გამოცემის მე-15 წელი

საქართველოს საზოგადოების გამოცემა ● 1971 წლის 24 დეკემბერი

რაც ეტრფობას დაუქცევი— სიყვარულს უქენებია!

ილია

გილოცავთ ახალ წელიწადს!

ძვირფასო თანამემამულენო!

გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველნო!

უცხოეთის მიწებს შეხიზნულო თანამემამულენო, ახალი წლის მობრძანებას გილოცავთ თქვენი სამშობლო — ივერიიდან!

მამა-პაპანი ამბობენ: საახალწლოდ მოძმე და თვისტომი უნდა გაახაროო.

ჩვენც ხნოვანი და მარად ჰაბუკი ქართული მიწის ნაყოფიერებას, წლევანდელი მოსავლის სიუხვეს და ბარაქას გახარებთ.

ქართული მარგანეცისა და ქვანახშირის სიმდიდრეს, ავტომობილებისა და ელმავლების სიმრავლეს, თუჯისა და ფოლადის სიმტკიცეს გახარებთ.

ქართველ მეცნიერთა ალმოჩენებს, დიდებულ მხატვრულ და მუსიკალურ ნაწარმოებებს, სკულპტურულ და ფერწერულ ტილოებს, ბრწყინვალე ფილმებსა და სპექტაკლებს გახარებთ.

სოფლებისა და ქალაქების ზრდასა და შენებას, კოპწია სახლებისა და ცათამბჯენების სიმრავლეს გახარებთ.

ჩვენი მუხლმაგარი და მკლავმაგარი სპორტსმენების გამარჯვებებსა და ახალ მსოფლიო რეკორდებს, ჭილდოდ მოზღვავებულ აურაცხელ ოქროსა და ვერცხლს გახარებთ.

მოსწავლეთა და სტუდენტთა სიბეჯითესა და წიგნის სიყვარულს, ჩვენი სამშობლოს ხვალინდელი ღიმილის, სიჭაბუკის, დიდ იმედებს გახარებთ.

ესეთი იყო მიმავალი წელიწადი, ამაყი სიტყვის უფლებას რომ გვაძლევს, მადლიერებით რომ ვაცილებთ ქართული მიწა-წყლიდან.

მამა-პაპანი ამბობენ: მოძმეთათვის საახალწლოდ გაღებული ყველა ლოცვა და კეთილი სურვილი უთუოდ აღსრულდებაო.

თქვენი სამშობლო-საჭართველო გიმყოფოთ მშვიდად და ბედნიერად. მტერი დაემარცხოს, მოყვარე და მოკეთე უმრავლოს, სახელი გაეზარდოს, კიდევაც შორს გაეტანოს.

სადაც არ უნდა იყოთ, მამულის სიყვარული და იმედი არ მოგშლოდეთ, თქვენდამი სამშობლოს ფიქრი და ერთგულება არ მოგკლებოდეთ.

სულითა და გულით, ფიქრითა და გარჯით კიდევ უფრო ახლოს უოფილიყავით მშობლიურ მიწა-წყალთან.

აკვნები, ქართველი გოგობიჭები, ჩვენი პურადი, გულადი ერი გემრავლებინოთ და გეზარდოთ.

ქართველობა ღირსებითა და სიამაყით, კაცთმოყვარეობითა და სიხარულით გეტარებინოთ.

მრავალ ახალ წელს ჯანმრთელნი და მხიარულნი შეხვედროდეთ, მრავალჟამიერ გებედნიეროთ!

იცოცხლეთ, იდღეგრძელეთ!

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმი,

გაზეთ „სამშობლოს“ რედკოლეგია.



იური ქლიბაძის ნახატი

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოვაქვეყნეთ ლუკა თურქაშვილის წერილი, რომელშიც ის გვწერდა: „პირველად მრავალ მოკითხვას მოგახსენებთ, ჩემო საყვარელო და საკუთარო მეგობრებო, ძმებო, ძმისწულებო თუ დისწულებო, — არ ვიცი, როგორ მოგმართოთ, მე ვარ ფშაველი, ძალიან მოვხუცდი, მშობლიური ენა ცოტა დამავიწყდა და არ ვიცი, როგორ წაიკითხავთ ჩემს წერილს. მენა სკოლაში არ დავდიოდი. მამა ჩვენმა მითხრა, მე წერა არ ვიცი, მაგრამ როგორღაც ვცხოვრობო და ცხვარში გამგზავნა“.

როგორც ძველ მეცხვარეს, „სამშობლოს“ რედაქციას სურს აცნობოს ბატონ ლუკა თურქაშვილს, ჩვენი გაზეთის მკითხველებს, როგორ ყოფაში არიან ჩვენი მეცხვარეები დღეს, როგორ ზრუნავენ ჩვენი ხალხი და თავკაცები მათ ბედ-იღბალზე, დღევანდელსა და ხვალინდელ დღეზე, რა გავაკეთეთ და რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ მათი ცხოვრება კეთილი და საინტერესო იყოს არა თუ მაშინ, როცა ჩვენი ცხვარი შინ, საქართველოს იალაღებზე იმყოფება, არამედ მაშინაც, როცა ზამთრის იალაღებზე გადაგვყავს, კავკასიონის პირიქით, დაღესტნის ველებზე, დაღესტნისა, რომელიც მოუბრუნებელ წარსულში ჩვენი არა თუ ცხვრისა, კაცის დამლუპველიც კი იყო...

ქართველი მეცხვარეებისათვის კარგ ტრადიციად დამკვიდრდა — როცა საქართველოს ცხვრის ფარები კასპიის-პირეთის საზამთრო საძოვრებზე დაიდებენ ბინას, ერის ცოცხალ დოვლათსა და მათ პატრონებზე საზრუნავად რესპუბლიკის თავკაცები ჩადიან ხოლმე იქ.

წლეულსაც, ნოემბრის შუა რიცხვებში ნოღაეთის ველებზე ქართველ მწყემსებს ესტუმრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვასილ მუჟავანაძე** და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **შოთა ჭანუყვაძე**.

რესპუბლიკის თავკაცები გაეცნენ მეცხვარეთა სამუშაო-საყოფაცხოვრებო პირობებს. აღუთქვეს მშრომელებს ყოველგვარი დახმარება. სამაგიეროდ მწყემსებმა კვლავ გაიმეორეს თავისი ვალდებულებანი, რომელიც მხოლოდ რამოდენიმე, მაგრამ საქმიან სიტყვას შეიცავს: „უდანაკარგოდ გამოვაზამთროთ ცხვარი, საუკეთესოდ ჩავატაროთ დოლი, სამშობლოს მივცეთ მეტი მატყლი და ხორცი, გადავაქციოთ მეცხვარეობა ყველაზე მაღალშემოსავლიან დარგად“.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს, ბატონ ლუკა თურქაშვილს ვთავაზობთ ჟურნალისტ ვიტალი შენგელის ნარკვევს მუხლჩაუხრელ, თვალფხიზელ მეცხვარეებზე.

შორია ნოღაეთამდე...



— შორია მის ტრამალებამდე... მე, იქნების ცხორიცა და თავიც მანდ დამრჩეს. შენ აქ ჯალაბს დაუდექ მაგრად. იქ წასვლას, მუხლ რომ მიღალატებს, მერიც მაასწრებ, — ასე ემშვიდობებოდა თავის პირმშოს ზამთრის საძოვრებზე ცხვარში მიმავალი მამა და გულით მიჰქონდა ოჯახის წევრთა ხატება. თან მიჰყვებოდა ვაუკაცური შიშიც მცირედი — იქნებ და მართლაც უკანასკნელად მივდევო ცხვარსა და ამ გზას...

უკანასკნელად?... რატომაც არა... განა გაავებულმა სტიქიონმა ნოღაეთში, ყიზლარში არ გაუწყვიტა ცხვარი სესებას. უწამლოდ და უექიმოდ, უწყლოდ. უპუროდ იქ ტრამალებში არ დაიმარხნენ დათია, მგელიკა, ალექსი?.. ჰაი, ჰაი რამდენჯერ დატრიალებულა იქ ცოდო-ბრალი და ალბათ ამიტომაც კვნესის ასე მწყემსის სალამური. ალბათ ამიტომაც ვერ იმეტებდა მაშინ მამა შვილს ფათერაკით სავსე, ველური ცხოვრებისათვის — იქ წასვლას მერეც მოასწრებო,.. დროს ჭიმავდა სანამ შეეძლო და ტოლ ხალხთან ერთად თვითონ ეზიდებოდა მომთაბარე მწყემსის უმძიმეს ჯაჭანს.

ღია ცის ქვეშ, თქეშსა და ქარში ექვს თვეზე მეტ ხანს იყო სახლკარიდან 600 კილომეტრზე დაშორებულ ნოღაეთში და ჯალაბისა არა იცოდა რა...

სიზმარივით გაჰქრა ძველი დრო...

თუმც კვლავ შორია ნოღაეთამდე და საქართველოდანაც კვლავ დარიალის ხეობის გავლით, წინაპართა გკვალულ ბილიკებით მიერეკებიან ცხვარს ზამთრის საძოვრებისაკენ დღევანდელი ხარჭლები, მაგრამ დღეს სულ სხვაა ეს სურათი...

ყაზბეგის, თიანეთის, დუშეთის, ლენინგორისა და ჯავის რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცხვრის ფარებს მწყემსებთან ერთად მთელ გზაზე გვერდით მიჰყვება მედიკამენტებითა და სურსათ-სანოვაგით დატვირთული საბარგო მანქანები. დასასვენებელ პუნქტებში ცხვარს უხვად ხვდება წყალი და საკვები. მეცხვარეს ცხელი კერძი და თბილი ლოგინი. მათ ფეხდაფეხ მისდევს ფოსტალიონიც და ყველა ამ სიკეთით მოკლდება მანძილი დარიალის ხეობიდან კოჩუბეამდე — დაღესტნელ და ქართველ მეცხვარეთა სატახტო ქალაქამდე, სადაც როგორც დაღესტნის, ისე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს აქვთ თავიანთი სკოლა, საავადმყოფო, სასტუმრო, კლუბი, სასადილო და მაღაზიები.

ეს უკიდეგანო ადგილები ოდესღაც კასპიის ზღვით ყოფილა დაფარული და წყალს რომ გადაუვლია ცხვრის სახეკეთოდ, ხრიოკზე მხოლოდ და მხოლოდ მლაშე ბალახები: ავშანი, ყარღანი, კუტიმლაში, ბერხუში, წიოელწვერა და ქონდარი გახარებულა, პირუტყვს მთელი ზამთარი აქ მარილი აღარ სჭირდება. წყალი? ინებეთ, რამდენიც გნებავთ.

დღეს ქართველ მეცხვარეებს 320 ათას ჰექტარ ფართობზე აქვთ 214 არტეზიული ჭა. რაიონებად დაყოფილ ტრამალებში აგებულია 215 საცხოვრებელი სახლი, 260 ფარეხი, მრავალი საბატკნე, სამეურნეო ნაგებობანი.

აქვთ თავიანთი ბიბლიოთეკები, სამედიცინო და ზოოვეტერინარული უბნები. მეტ წილ ადგილებში გაყვანილია ელექტროშუქი. დაიდგა ტელევიზორები და რადიომიმღებები.

რაიონიდან-რაიონამდე ტრიალ მინდვრებში კვლავაც გაჰყავთ ელექტრო-ხაზი შალვა ნამგალაურს, სიმონ გოგიშვილს, შალვა და სოლომონ წიკლაურებს, ავთანდილ კარიაულს, ტოგო ხუხუნაშვილსა და ვახტანგ ჭიკაიძეს... იჭრება არტეზიული ჭები, იგება საცხოვრებელი სახლები. ცხვარში წასულ კაცს ერთი წუთითაც არ აკლდება მზრუნველობა და ყურადღება. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ იქ მყოფმა მწყემსმა თავი ისე იგრძნოს, როგორც ოჯახში.

გამოზამთრების სეზონის დასაწყისში, ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე მწყემსები ყოველთვის სიხარულით მოელიან რესპუბლიკის ხელმძღვანელი ამხანაგების ტრადიციულ ჩამოსვლას.

სიტყვით და საქმით მ.რთალ ადამიანებს არც წელს უმტყუნა მოლოდინმა. ნოემბრის შუა რიცხვებში მათთან ჩავიდნენ: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მუჟავანაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შოთა ჭანუყვაძე.

მწყემსთათვის ჩვეული სხარტი მოკითხვის შემდეგ შორი გზით მოსულმა სტუმრებმა მცირე ხნით დასვენებაზეც უარი თქვეს და ნოღაეთის ტრამალებში დუშეთის რაიონის მაქართის სტალინისა და გუდამაყრის ლენინის სახელობის კოლმეურნეობების ზამთრის სადგომები მოინახულეს, დაინტერესდნენ მეცხვარეთა საყოფაცხოვრებო პირობებით; ესაუბრნენ მაქართელ შიო და ლევან აფციაურებს, ნოდარ და გოგი წიკლაურებს, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატს გუდამაყრელ სულიკო წიკლაურს.

დაათვალიერეს მწყემსების საცხოვრებელი სახლები, ცხვრის ბინა, საბატკნეები.

დაწვრილებით გამოიკითხეს — როგორ არიან მწყემსები მომარაგებული ზამთრისათვის.

მეცხვარეებთან საუბარი და საყოფაცხოვრებო ობიექტების დათვალიერება გვიან საღამომდე გაგრძელდა...

მეორე დილით, კარგად გათენებული არც იყო, როცა რესპუბლიკის ხელმძღვანელი ამხანაგები პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანთან გიორგი ჯუსოევთან და მეცხვარეობის რაიონების ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად ყაზბეგის რაიონის საძოვრებს ეწვივნენ.

რიყრაყის ბურუსში დაიკლაკნა გზა, მაგრამ პარტიის ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივნის ვალერიან ფირაწიშვილის მეგზურობით მალე მივიდნენ იმ ადგილებში, სადაც ყაზბეგის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსების სახლები და ცხვრის ფარების სადგომებია განლაგებული. ესაუბრნენ ვეტერან კოლმეურნეს. პერსონალურ პენსიონერს, მაგრამ დღეს კიდევ მუხლმაგარსა და თვალფხიზელ მწყემსს არჩილ ქავთარაშვილს. ბრიგადირებს: პავლე ჯამარჯაშვილს, ოთარ სუჯაშვილსა და ვაჟა ჭუშაშვილს, კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანს ლევან ჭიჭაშვილს.

ყაზბეგის რაიონის კომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ჰაჯი-მურატ ბატაევმა სტუმრებს დაათვალიერებინა მეცხვარეთა კაპიტალურად აგებული საცხოვრებელი სახლები, ბიბლიოთეკა, წითელი კუთხე, კარგად მოწყობილი ცხვრის ბინები, საბატკნეები, მოახსენა, რომ ექვსასი კილომეტრი მშვიდობით გამოვიარეთ და არცერთი ლუბი ცხვარი არ ჩამოგვიყვანიაო.

ლენინგორის რაიონის საძოვრებზე რესპუბლიკის ხელმძღვანელი ამხანაგები ინტერესით გაეცნენ სოფელ დადიანეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსთა ცხოვრებას.

ნოღაეთის ტრამალებში დიდხანს გაგრძელდა მოგზაურობა...

ნაშუადღევს კი 320 ათას ჰექტარზე გაშლილი, თავისებური ფრონტის შემოვლის შემდეგ კოჩუბეის კლუბში შეიკრიბნენ მეცხვარეები, მეცხვარეობის რაიონების ხელმძღვანელები და სპეციალისტები, სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროთა და სხვა უწყებების წარმომადგენლები.

აქ მოვიდნენ პარტიის დაღესტნის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მოჰამედ-სალამ უმახანოვი და დაღესტნის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ალი-ფაშა უმალატოვი.

თათბირი, რომელიც მიეძღვნა ზამთრის საძოვრებზე მწყემსთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და პირუტყვის უკეთ გამოზამთრების საკითხებს, შესავალი სიტყვით გახსნა ამხანაგმა ვასილ მუჟავანაძემ.

სიტყვით გამოსულებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მშობლიური პარტია და მთავრობა ჯეროვნად აფასებს მწყემსის მძიმე და საპატიო შრომას. დღეს რესპუბლიკაში ბევრია ლენინის, ოქტომბრის რევოლუციისა და ჩვენი ქვეყნის სხვა საპატიო ორდენით მკერდდამშვენებული მწყემსი. მწყემსთა შორის არიან სოციალისტური შრომის გმირები და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

მათ ილაპარაკეს იმ ნაკლოვან მხარეებზეც, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე.

კერძოდ აღნიშნეს, რომ სათანადო დონეზე ვერ დგას მეცხვარეთა კინომომსახურება, ყველგან არაა სამკითხველო, ზოგჯერ გვიანდება ყურნალ-გაზეთებისა და წერილების მიწოდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მუჟავანაძემ, ხაზი გაუსვა დაღესტნელი და ქართველი ხალხების ძმურ ურთიერთობას, ისაუბრა დაღესტნის ველების ერთობლივ ათვისების დიდმნიშვნელობაზე, კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე უკანასკნელ პერიოდში ბევრი გაკეთდა მწყემსების საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ თქვა, რომ ეს ზღვარი არ არის და ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელიო.

ვასილ მუჟავანაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეცხვარეობის რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა კვლავ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მეცხვარეთა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომ გაუმჯობესებას და ერთი წუთითაც არ მოაკლონ მზრუნველობა ზამთრის საძოვრებზე ჩამოსული მწყემსის ოჯახს.

— სასიხარულოა, რომ მწყემსებს შორის უმრავლესობა ახალგაზრდობაა, — თქვა ამხანაგმა მუჟავანაძემ და მოუწოდა, არ დაივიწყონ შესანიშნავი ტრადიცია — კომბალთან ერთად წიგნიც თან ატარონ.

სიტყვის დასასრულს ამხანაგმა მუჟავანაძემ მეცხვარეებს კიდევ ერთხელ მიულოცა ზამთრის საძოვრებზე მშვიდობით დაბანაკება და ახალი წარმატებები უსურვა შრომასა და პირად ცხოვრებაში...

დღეს აღარავინ ამბობს — შორიაო ნოღაეთამდე.

„სამშობლო“ ულოცავს „კომუნისტს“

„სამშობლო“ პატივისცემით ესალმება ორმოცდაათი წლის სიკეთის მთესველს — სიყვარულის მომკელს, ძმასთან ძმასა და მტერთან გოლიათს, ავადობათა უებარ დასტაქარს— შრომითი პოეზიის მედაფდაფეს, ჯაფაში ტოლუდებს — ბრძოლაში შეუდრეკელს, სიმართლის ქომაგს — უკუღმართობის დამთრგუნავს, გამარჯვებათა უტყუარ მეკვლეს — მაჩანჩალების მსუსხავს, ბავშვების მამას — მამების ღირსეულ ძეს, ორმოცდაათ წელიწადს ღამისმტეხელს, ქართველი ერის სასიქადულო ძველი მედროშის — „ივერიის“ ღირსეულ მემკვიდრეს, საბჭოთა საქართველოს საამაყო პირმშოს — „კომუნისტს“.

დიდება შენს შრომას, შენს სიმართლეს, მარადიულ შენს მგზნებარებას და დაუოკებელ შემართებას!

თავს ვუხრით შენს ჩამლილ გვერდებს, ჩატეხილ სტრიქონებს, გაფრენილ ასოს, უძილო ღამეებს, ხელაბლა აწყობილ და შრომის სიმღერად ახმიანებულ ახალ გვერდებს, ზაფხულში ოფლსა და ზამთრით სიცივეს!

ბარაქალა შენს ასოთამწყობს, ლინოტიპისტს, დამკაბადონებელს, დამმატრიცებელს, მბეჭდავს, ხალხთან შენს მიმტანს და მადლიან მკითხველს!

ვაშა მის შრომას, ვიხც ორმოცდაათი წლის დუღილში იყო და არის შენი ავტორი, კორესპონდენტი, ლიტმუშაკი, გამგე, მდივანი და მოადგილე!

ჭეშმარიტი დიდება ყველას, ვინც ალალად, პატიოსნად, დაუზოგველად გატარონობდა და გივლიდა დღისით და ღამით, ვინც ჯანი და სიცოცხლე შეგალია წლების მანძილზე, ვინც ბევრი სიხარული თუ გასაჭირი გადაიტანა შენი სინდისის მოვლასა და პატრონობაში, ჭეშმარიტი ვაშა „კომუნისტის“ ყოველი დროისა და ჟამის ყველა რედაქტორს!

„სამშობლო“ მოკრძალებით ესალმება ქართული პრესის მეკვლესა და სინდისს — „კომუნისტს“, გულში იკრავს ყველაზე უპირიან მის რედაქტორს, მართალსა და ჭკვიანს, დაღლილსა და დაუღალავ, უბერებელ დავით მჭედლიშვილს!

„სამშობლო“

ქრონიკა

ამას წინათ გაიმართა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები: გამომცემლობის გეგმის შესრულება, უცხოეთში მცხოვრები ქართველი ბავშვების საქართველოს კურორტებზე ჩამოყვანა სახაფხულო არდადეგებზე, უცხოეთში მცხოვრები ქართველი ახალგაზრდების მიღება საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, საფრანგეთში რესპუბლიკური ფოტოგამოფენის მოწყობა და ჩვენი თანამემამულეების საქართველოში მოწვევის ღონისძიებათა გეგმა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა **აკაკი შანიძემ** და **შალვა ამირანაშვილმა**, საქართველოს აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ **პაატა გუგუშვილმა**, მწერალმა **ლევან გოთუამ**, პროფესორმა **მარიკა ლორთქიფანიძემ**, საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ჭიაბერ ლომაშვილმა**, საქართველოს კულტურის სამინისტროს უცხოეთის სასმელების სამმართველოს უფროსმა, პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ **ოთარ ჩუბინიშვილმა**, საქართველოს რადიომაუწყებლობის განყოფილების გამგემ **ნოდარ ბეთანიშვილმა**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **ამირან ცამციშვილმა**, გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორმა **ვახტანგ ესვანჯიამ**, საზოგადოების პრეზიდიუმის პასუხისმგებელმა მდივანმა **ჯუმბერ ჭიქიძემ**, მწერალმა **გივი კარბელაშვილმა**.

სხდომას თავმჯდომარეობდა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ოთარ გიგინეიშვილი**.

პრეზიდიუმმა განიხილა და მოიწონა წარმოდგენილ ღონისძიებათა პროექტები და მიიღო საჭირო დადგენილებები.

სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით საზოგადოების პრეზიდიუმმა გაათავისუფლა გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორის მოვალეობისაგან **ვახტანგ ესვანჯია** და მადლობა გამოუცხადა ნაყოფიერი მუშაობისათვის.

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორად საზოგადოების პრეზიდიუმმა ერთხმად აირჩია მწერალი **გივი კარბელაშვილი**.

● ვისგან გვითხრათ, რამდენად მეტია ან ნაკლებია საქართველოს სსრ საბიუჯეტო ასიგნებები?

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებული ყოველწლიურად საყურადღებოდ მატულობს. წინა ხუთწლედში ბიუჯეტი გაიზარდა 40 პროცენტით. ამ დღეებში კი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მერვე მოწვევის მეორე სესიაზე, დამტკიცდა რესპუბლიკის 1972 წლის ბიუჯეტი 1.457 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც 1971 წლის ბიუჯეტს თითქმის 9 პროცენტით აღემატება.

● რის საფუძველზე ითვლება ბიუჯეტი?

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო კანონები ახალი ხუთწლიანი გეგმისა და 1972 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ, რომლითაც გათვალისწინებულია უდიდესი მასშტაბის ღონისძიებანი მრეწველობისა და მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის. ფრიად ყოფილია სოციალურ-კულტურული დანიშნულების ფონდების ზრდა, კერძოდ უფრო ამაღლდება განათლებისა და კულტურის დონე. ამის შესაბამისად განისაზღვრება ფინანსური რესურსები, რაშიც ხორცი უნდა შეასხას დასახულ ღონისძიებებს.

სახალხო მეურნეობის შეუნელებელი განვითარების შედეგად იზრდება შემოსავალი სოციალისტური მეურნეობიდან, რაც მთელი ბიუჯეტის მოცულობის 90 პროცენტია. აქედან ძირითადი შემოსავლის წყაროა ბრუნვის გადასახადი 45,8 პროცენტი და საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგებიდან გადასახადები 29,8 პროცენტი.


● ნიშნავს თუ არა ბიუჯეტის ზრდა მოსახლეობის რეალური შემოსავლების ზრდას?

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე მოხსენებით „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1972 წლის სახელმწიფო გეგმა“ — გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი გივი ჯავახიშვილი.

მოხსენებითა და თანამოხსენებებით გამოსულებმა ილაპარაკეს რესპუბლიკის კულტურული და სამეურნეო მშენებლობის გაისის ამოცანებზე, დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი, დაამტკიცეს საქართველოს 1972 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

ადამიანის კეთილდღეობა ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობაზე. მდიდარი ბიუჯეტი ეს არის — მეტი სკოლა და საავადმყოფო, სანატორიუმი და სახპორტო მოედანი, ახალი საცხოვრებელი ბინა და კეთილმოწყობილი გზა...

რესპუბლიკის ბიუჯეტის შესაძლებლობებზე საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი არჩილ ჭირაქაძე ესაუბრება გაზეთ „სამშობლოს“ კორესპონდენტს ჯემალ ჟურხულს.



ე რ ი ს კეთილდღეოებისათვის

განათლების და კულტურის დარგის დაფინანსებისათვის დაიხარჯება ჯამში 1,3 მილიონ მანეთი.

● განსაკუთრებით გაიზრდება განათლების დაფინანსება?

სამინო მშენებლობის დიდი ყურადღება დაისახული. მიმდინარე ხუთწლედში, გასულ ხუთწლედთან შედარებით, სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე აშენდება 23,5 პროცენტით მეტი საცხოვრებელი ბინა, ხოლო საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის ხარჯით — 76,8 პროცენტით მეტი. 1972 წელს დაფინანსების ამ წყაროთი აშენდა 745,2 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი. ამის გარდა, ფართოდ გაიშლება ინდივიდუალური ბინათმშენებლობა მოსახლეობის საკუთარი სახსრებით და სახელმწიფო კრედიტების ხარჯზე.

● რა თანხები დაიხარჯება მშენებლობის, სპორტის, ფიზკულტურის, საჭირბოტო აღჭურვილობის?

სახალხო მეურნეობის განვითარებასა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებას სხვა-დასხვა რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის 96 პროცენტი. განსაკუთრებით დიდია განათლების, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯები, რომელთა ხვედრი ბიუჯეტში 54 პროცენტს შეადგენს. 1972 წელს ამ ღონისძიებებზე დაიხარჯება 790 მილიონი მანეთი, რაც 1971 წლისათვის ამ დანიშნულებით გამოყოფილ თანხებს 44 მილიონი მანეთით აღემატება.

1972 წლისათვის დამტკიცებული ასიგნებები ცალკეული სახელობის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: სახალხო განათლებაზე, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დონისძიებებზე 418 მილიონი მანეთი, სახალხო ჯანმრთელობის, ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებაზე — 174,5 მილიონი, სოციალურ უზრუნველყოფაზე — 197,0 მილიონი მანეთი.

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისათვის, მათემატიკის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერების პრობლემების დამუშავებაზე გამოყოფილია 41,8 მილიონი მანეთი.

1972 წლისათვის გათვალისწინებულია ახალი 158 ბიბლიოთეკის, 22 რაიონული კულტურის სახლის, 338 სასოფლო კლუბისა და ბიბლიოთეკის, აგრეთვე 50 კინოდანადგარის მწყობრში შესვლა.

● ფარავს თუ არა საქართველოს ბიუჯეტის წლიური შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებს?

ჩვენი რესპუბლიკის ბიუჯეტის შემოსავალი სავსებით უზრუნველყოფს ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯების დაფარვას. უფრო მეტიც, ყოველწლიურად ბიუჯეტი შემოსავლის ხარჯზე გადამეტებით სრულდება და ეს თანხები ხმარდება რესპუბლიკის ეკონომიკასა და კულტურას.

რესპუბლიკის ზოგიერთ მნიშვნელოვან მშენებლობაზე გვჭირდება სოლმე დახმარება საკავშირო ბიუჯეტიდან. ათეული მილიონობით დამატებით თანხებია გამოყოფილი, მაგალითად — თბილისის მეტროპოლიტენის, თბილისი-აეროპორტის ავტოსტრადის, შავი ზღვის სანაპიროს მშენებლობებზე.

● დასასრულ გთხოვთ კიდევ ერთ შეკითხვაზე გვიპასუხოთ, რომელიც საქართველოს ფინანსებს არა, მაგრამ ბატონ არჩილ ჭირაქაძეს უთუოდ ეხება.

— ვიცდები გიპასუხოთ.

● „სამშობლოს“ მკითხველებმა იციან, რომ თქვენი ქალიშვილი გამოჩენილი პორტუგალელი კომპოზიტორისა და პიანისტის ვიანა და მოტას სახელობის ლისაბონის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატია, რით გაგვახარებს ნინო ახალ, 1972 წელს?

ძნელია იმის თქმა, გაგვახარებს თუ ვერა. ნინო ამჟამად მოსკოვში სახელმწიფო კონსერვატორიის III კურსის წარჩინებული სტუდენტი და სახელმწიფო სტიპენდიატია. სწავლობს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის პროფესორ იაკობ ფლიერის კლასში. უახლოესი მომავლისათვის კონცერტებს გამართავს მოსკოვში, ლენინგრადში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. რაც შეეხება მომავალ კონკურსებში მონაწილეობას, ვერაფერს გეტყვით, რადგან ეს ნინოსი და მისი პროფესორის „საიდუმლოებაა“.

რვასაუკუნოვანი ქართული პოეზია

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამომცემლობა „ფოლკ უნდ ველტმა“ ბერლინში ცოტა ხნის წინათ გერმანულ ენაზე გამოსცა ქართული პოეზიის ანთოლოგია — „რვასაუკუნოვანი ქართული პოეზია“, რომელშიც ხალხური პოეზიის მარგალიტებთან ერთად წარმოდგენილია ბევრი ჩვენი პოეტის რამდენიმე ლექსი თუ ნაწყვეტი პოემიდან — რუსთაველიდან დღემდე.

ანთოლოგიაში გამოქვეყნებული ქართველი პოეტების ლექსთა თარგმანები მაღალ დონეზეა შესრულებული (ბეჭდური გერმანულად გააკეთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა ნელი ამაშუკელმა), რაც მთარგმნელთა დახვეწილ გემოვნებასა და ოსტატობაზე მეტყველებს, ამ პატრიოტული და საშვილიშვილო საქმის კეთილად დაგვირგვინებაში — ქართული პოეზიის გერმანულად ამეტყველების ცდაში — ადოლფ ენდერსსა და რაინერ კირშს ეხმარებოდნენ ნელი ამაშუკელი, ნოდარ კაკაბაძე, ნათელა ხუციშვილი, გივი მარგველაშვილი და რეზო ყარალაშვილი.

ამ კეთილშობილ წამოწყებას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი გრიგოლ აბაშიძე და რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე ვახტანგ კუპრავა.

ანთოლოგია იხსნება ქართული პოეზიის გვირგვინით — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგით, რომლის თარგმანი ჰერმან ბუდენზიგს ეკუთვნის. მას მოსდევს ქართული ხალხური პოეზიის შედევრები: „თავფარავნელი ჭაბუკი“, „ყაია ყმა“, „შენ ჩემო დიდო იმედო“, „შემომეყარა ყივჩაღი“, „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“ და სხვები, რომლებიც, მთარგმნელთა სახახელოდ უნდა ითქვას, აგრძნობინებენ გერმანელ მკითხველს ჩვენი ხალხური საუნჯის უზადობასა და სილამაზეს.

XVII-XVIII საუკუნეების პოეზია წარმოდგენილია ოთხი პოეტით; ესენი არიან: თეიმურაზ პირველი, ვახტანგ მეექვსე, დავით გურამიშვილი და ბესიკი.


XIX საუკუნის კლასიკოსთაგან უცხოელი მკითხველი გაეცნობა ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას უკვდავ ნაწარმოებებს.

ფართოდ არის წარმოდგენილი ქართველი საბჭოთა პოეტების შემოქმედება. ანთოლოგიაში თავმოყრილია იოსებ გრიშაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, სანდრო შანშიაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კონსტანტინე ჭიჭინაძის, გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, კოლაუ ნადირაძის, გიორგი ლეონიძის, ალიო მირცხულავას, სიმონ ჩიქოვანის, კარლო კალაძის, გიორგი ჯაჭახიძის, ირაკლი აბაშიძის, ალეკო შენგელაიას, რევაზ მარგიანის, ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, იოსებ ნონეშვილის, შალვა ფორჩხიძის, ლადო სულაბერიძის, მურმან ლებანიძის, ხუტა ბერულავას, ოთარ ჭელიძის, ანა კალანდაძის, მიხეილ ქვლივიძის, ნოდარ გურეშიძის, მუხრან მაჭავარიანის, მორის ფოცხიშვილის, ჯანსულ ჩარკვიანის, ოთარ ჭილაძისა და ლია სტურუას ლექსები.

340 გვერდიანი წიგნი შესანიშნავი შრიფტით არის დაბეჭდილი და მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული.

„რვასაუკუნოვანი ქართული პოეზიის“ გამოცემა გერმანულ ენაზე ხალხთა მეგობრული და კულტურული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა.

მშვიდობის მრავალი ახალი წელიწადი!



● ● ● პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე თავისი შვილი ვატოთი...

ახალი წლის ღამეს ყველა მხიარულია. ახალი წლის ღამეს ყველა დიდი იმედებით სავსეა, ყველა ზეამწევად მსუბუქი და ნათელია.

ახალი წლის ღამე დღეობაა.

ახალი წლის ღამე ლხინია.

მე მარტო ერთი გამონაკლისი მახსოვს...

ამას წინათ ჩვენი რადიოსა და ტელევიზიის კორესპონდენტმა მომმართა თხოვნით: მოკლედ მომეთხრო მსმენელთა და მაყურებელთათვის, როგორ შევხვდი ახალ წელიწადს 30 წლის წინათ, სწორედ 1942 წელს და წამეკითხა ის ჩემი საახალწლო ლექსი, რომლითაც მაშინ მივმართე ჭარ-თველ მეომრებს: „მრისხანე ცხრაას ორმოცდაორი შემოგრიალდა წელი ახალი“.. მე ეს მისი თხოვნა სიამოვნებით შევასრულე. მერე კი, შინ მარტო რომ დავრჩი, საუბარი ფიქრებში განვაგრძე. ბევრი, ძალიან ბევრი რამ მომაგონდა იმ ახალ წელიწადზე. ოდესმე, ალბათ, ყოველივე ამას ჩემს მოგონებებში დავწერ.

ყველა ახალ წელიწადზე მძიმე, ყველა ახალ წელიწადზე მწუხარე, ყველა ახალ წელიწადზე მრისხანე, ომამდე და ომის შემდეგ, იყო სწორედ 1942 წლის ახალი წელიწადი, სწორედ 30 წლის წინანდელი ახალი წლის ღამე.

მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გამარჯვების დიადი რწმენა კვლავაც ჩაუქრობლად ღვიოდა ყოველი საბჭოთა ადამიანის გულში, ჩვენი ქვეყნისა და ომის ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო ბეჯრისათვის. მტერი მრისხანე ღრუბლად ჩამოწვა სამხრეთის ცაზე; როსტოვი დაეცა და აშკარა იყო მარშალი კლეისტი კავკასიისაკენ ნახტომისათვის ემზადებოდა.

როგორც ცნობილია, ეს ასეც მოხდა. ამას წინათ ჩემს ძველ ქაღალდებში ერთი იმდროინდელი დაუმთავრებელი ლექსი ვნახე. სწორედ კავკასიაში მტრის შემოჭრის სურათის დახატვა მიცდია; ეტყობა, არ გამომსვლია, ან რასმე ხელი შეუშლია და ლექსიც გვერდზე გადამიდია. ასეთი სტრიქონები აღმოვაჩინე იქ:

...როცა იგემა მსხვერპლი მრავალი.
მთებშიც აყეფდა შავი ყორანი,
დონზე დაეცა ზღუდე მთავარი,
მტერმა სამხრეთზე გასდო ბორანი.

მოულოდნელად სანგრებს დაეცა,
დასძრა ათასი რკინის გალია
და შეშფოთებულ ძველ ხაზარეთზე
ურდო მიუშვა როგორც კალია.

სულმოუთქმელად დასწვეს, დათოფეს
გზა ურდოებმა, უცრემლოებმა,
უკან დახეულ ჩვენს დანაყოფებს
მტრის ნაწილებიც კუდზე მოება.

ბოლმით იხევდნენ უკან ჩვენები,
უხმოდ სტიროდნენ გზებზე ცხენები
და შენობების კედლის წიბოდან
ზეცას წვდებოდნენ ცეცხლის ენები.

ხალხმა დასტოვა კერა თავისი
და ქალაქები ცის ქვეშ დაობლდნენ...
ასე მოჰქროდა რკინის კლაისტი
დონის ველიდან თვით ბეშტაუმდე.

ეს სურათი ვნახე 1942 წლის ზაფხულზე მოზდოკთან, პროხლადნაიასთან, ნალჩიკთან, პრავოურვანსკისთან, პერვომაისკთან... ცეცხლმოდებულ ჩრდილოეთ კავკასიაში.

ჩვენ მივდიოდით იქით, მოზდოკის მიმართულებით, ჩვენს მეომრებთან, ქართველ ჯარისკაცებთან; იქით, სადაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების ცეცხლში ტრიალებდნენ ჩვენი ბუხაიძეები, ლურსმანაშვილები, შუბითიძეები, კანკავები, პირმისაშვილები; მივდიოდით მწუხარებითა და ბოღმით აღვსილი, სამხედრო ტანსაცმელში უგერგილოდ, შეუწვევლად გამოწყობილი პოეტები — სიმონ ჩიქოვანი, ალიო მაშაშვილი და მე.

მაგრამ მე აქ უკვე დროსა და მოვლენებს წინ გავუსწარი; არამცთუ უკვე გავითენე ახალი, 1942 წელი, არამედ ძის ზაფხულსაც კი მივაღწიე... დავბრუნდეთ უკან, ჯერ ახალ წელიწადს შევხვდეთ, 1942 წლის ახალი წლის ღამეს.

დიდი საახალწლო საჩუქარი მიართვა ჩვენს ქვეყანას წითელმა არმიამ 1941 წლის ნოემბერ-დეკემბერში: სასტიკად დაამარცხა მტერი მოსკოვთან და როცა არა მარტო მტერს ეგონა, არამედ ბევრი ჩვენგანიც კი შიშობდა, გერმანელი ჯარისკაცი, ცოტაც და, საბჭოთა კავშირის დედაქალაქის ქუჩებში შემოიჭრებაო, მტერმა იქიდან სულ კუდით ქვის სროლით იბრუნა პირი ერთხელ და სამუდამოდ.

ჯოჯოხეთური სანახაობა იყო იმჟამად მოსკოვის მიდამოები; ჩვენ იქ ამ დიდი ბრძოლებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ მოვხვდით, 1942 წლის იანვარში, პოეტები: გიორგი ლეონიძე, ალიო მაშაშვილი და მე. მტერი დედაქალაქთან ჯერ კიდევ ისე ახლოს იდგა, რომ ქვემეხების ხმა კარგად ისმოდა, მაგრამ მოსკოვი უკვე ძალას იკრებდა და აი დაქსაქსული სსრკ შეიარალთა ორგანიზაციის გამგეობის რეგიონში, სასწრაფო პლენუმიც კი იქნა მოწვეული ომში მეწარლების აქტიური მონაწილეობის საქმეთა განსახილველად. ჩვენც იქით მივეჩქარებოდით, მოსკოვისაკენ, მეწარალთა კავშირის გამგეობის წევრები. ჩვენთან ერთად მოდიოდნენ იმჟამად თბილისში მყოფი რუსი პოეტი მისეილ სვეტლოვი და მეწარალი ირაკლი ანდრონიკაშვილი.

ამ გრძელ და გაყინულ დღეს მოვუნდით მოსკოვამდე, სტალინგრადის გავლით. სტალინგრადამდე მტერი ჯერ კიდევ ტერიტორიულად შორს იყო, ხოლო სტალინგრადთან კატასტროფასა და ომში საბოლოო დამარცხების გარდაუვალობას ერთი წელიწადი უკლდა.

მოსკოვთან მიახლოებისას ჩვენი მატარებელი პირდაპირ ფრონტის ხაზზე გავიდა. დამსხვრეული ვეებერთელა ტანკები და ზარბაზნები, საბარგო მანქანები და ჯავშან-ტრანსპორტიორები, მიწაში ცხვირით ჩარგული მტრის თვითმფრინავები, თეთრ თოვლზე მიმოფანტული დახოცილი ცხენები...

მოსკოვში მოქალაქეთა ჭაჭანებაც კი არსით იყო. მხოლოდ დროდადრო ქუჩებში ჩაიქროლებდა მებრძოლებით დატვირთული ავტომანქანა, მათ ბრძოლის ერთი სექტორიდან მეორისაკენ მიაქანებდა; ხანაც ყინვით გათოშილი ტანკი მეორე, ბრძოლაში დაზიანებულ ტანკს სადღაც მიათრევდა...

მაგრამ მე აქ ისევ დროსა და მოვლენებს გავუსწარი წინ, მაინც გავიხსენებ 1942-ის ახალი წელიწადი; დავუბრუნდეთ ისევ იმ მრისხანე ახალი წლის ღამეს.

1941 წლის ბოლოს მოსკოვისაკენ, იმ დიდ ბრძოლებში მონაწილეობისათვის თბილისიდან წავიდა ჯავშნიანი მატარებელი. მატარებლის პირადი შემადგენლობა სულ თბილისელი ახალგაზრდობა იყო; „ჯახიევის ჯავშნოსანი“ — ასე ეძახდნენ ამ მატარებელს. მან ბრძოლებში დიდად გამოიჩინა თავი დივინასთან, სმოლენსკთან, სოლნჩნოგორსკთან, კლინთან; სამწუხაროდ, კლინთან უკანასკნელ ბრძოლაში მატარებელს სამი მხრიდან გერმანელთა ტანკები შემოესივნენ და როცა ბრძოლას თავი დააღწია, უკვე მძიმედ დაჭრილი იყო. იგი შესაკეთებლად მოსკოვთან ახლოს, ერთი პატარა სადგურის ჩიხში დააყენეს.

როგორ გაგვეხარდა ჩვენ, პოეტებს: გიორგი ლეონიძეს, ალიო მირცხულავას და მე, როცა სწორედ ამ ჯავშნიანი მატარებლიდან მოვიდა ჩვენთან დელეგაცია მოსკოვში, მწერალთა კავშირის სწორედ იმ პლენუმზე, რომელზეც ზემოთ მოგახსენებდით და გვთხოვეს ერთი დღით ვწვეოდით „ჯახიევის ჯავშნოსნის“ მებრძოლებს. დაუყოვნებლივ წავედით.

როგორ გაეხარდათ თბილისელ ვაჟკაცებს ჩვენი დანახვა! ერთურთს ვეხვეოდით, ვკოცნიდით, მერე დავსხედით და ჩვენთვის გამართულ მეომრულ სუფრაზე, წყალში გაზავებული სპირტით მათი გამარჯვების სადღეგრძელო ავწიეთ. საღამოს მებრძოლებმა კარგი ქართული კონცერტი გამართეს; ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა, პოეტებმა.

წასვლის წინ ჩემთან ერთი მებრძოლი მოვიდა და გაზეთში შეხვეული საჩუქარი გადმომცა. ეს იყო ანა ანტონოვსკაიას წიგნი „დიდი მოურავი“. იგი ქალაქ კლინის კ. მარქსის სახელობის ბიბლიოთეკიდან გამოეტანა კლინთან უკანასკნელი ბრძოლის წინ. როცა ბრძოლა გაჩაღდა, მას ეს წიგნი სასწრაფოდ მაზარის გულის ჯიბეში ჩაედო; სწორედ ამ დროს გაეგლიჯა ჯავშნოსნის კედელი გერმანელთა ტანკის ტყვიას და ერთი ნამსხვრევი კედლთან მდგომ მებრძოლს შიგ მკერდში მოხვედროდა, იქ, სადაც „დიდი მოურავი“ იდო; წიგნი კი ნამსხვრევს ბოლომდე ვეღარ გაეგლიჯა და ასე გადარჩენილი მებრძოლი ახლა ამ წიგნს მე საჩუქრად თბილისში მატანდა. წამოვიღე... და მას შემდეგ, ეს უნიკალური საჩუქარი გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში ინახება, თბილისში. ზედ აწერია: „გიორგი საკაძეს სიკვდილს გადამარჩინა მე, ალექსა მნათობლიშვილი ქალაქ კლინთან ბრძოლაში“.

მაგრამ მე აქაც კიდევ დროსა და მოვლენებს გავუსწარი წინ, ისევ გავითენე 1942-ის ახალი წელიწადი... დავბრუნდეთ უკან, თუმცა ჯერ კიდევ არა....

ამას წინათ ჩემს ძველ ქაღალდებში ერთი იმდროინდელი დაუმთავრებელი ლექსიც აღმოვაჩინე. მახსოვს, მაშინ ზემოაღწერილი შემთხვევის დახატვა ვცადე, თითქოს გვარიანადაც დავიწყე, მაგრამ რატომღაც შევწყვიტე. აი ისიც:

დაჭრილი საკაკაძე

კლინის ფრონტი...
ჯანღში არი
ცა ღრუბლების თავმლიანი,
ქალაქს სტოვებს გარემოცულს
ჯახიევის ჯავშნიანი.

მტერმა შეკრა სამი მხარე,
ღმუის, ბრუნავს ნიადაგი,
ერთი დარჩა ქალაქს კარი,
ერთი დარჩა ლიანდაგი.

მტერმა ბრძანა:
— ახლოს არი,
ყაჩაღს ცოცხალს მიასწარით,
არ გაუშვათ ჯავშნოსანი —
ჩაუკეტე ღია კარიც.

მისი ცეცხლი წვიმებს ჰგავდა,
კბილს ჩვენ ზურგზე ილესავდა,
ჩვენს სანგრებს და ბინებს წვავდა,
რკინას რკინით გვალეწავდა.

მისი ცეცხლი ზუსტად უშენს,
თქვას, ეკუთვნის დაქადნება,
მაგ ჯადოქარს გზა დაუხშეთ,
თორემ ძაფზეც გაქანდება.

შემოერტყით ყოველ მხარეს,
როგორც ცეცხლის ნიაღვარი,
არ გაუშვათ ჯავშნოსანი,
გადუკეტეთ ღია კარი.

წამოვიდა ასი ტანკი ასი რკინის ჯანდარა,
მიწა შეაზანზარა, ირგვლივ არა ჩანდა რა...

აქ კი ლექსიც წყდება და ჩვენც შევწყვიტოთ მოგონება.

1942-ის ახალი წლის ღამეს მაინც ვეღარ დავუბრუნდით; ნუმც დავუბრუნდებით, დაე, ასე გამონაკლისად დარჩეს იგი ჩვენთვის და მთელი ჩვენი ქვეყნისათვის!

ღმერთმა მშვიდობის მრავალი ახალი წელიწადი გაგითენოთ!

ირაკლი აბაშიძე,
პოეტი-აკადემიკოსი.



ავგედითოგი თა თუ უამთატრიალით დედამიწის სხვადასხვა კუთხეში გაბნეულ ქართველებს, ჩვენი სისხლ-ხორცის ერთ ნაწილს გილოცავთ ახალ, 1972 წელს! ეს წელიწადი ყოფილიყოს თქვენთვის სიკეთის, ბედნიერების, სიხარულის მომტანი, აგსრულებოდეთ მამა-შვილური სურვილები.

იზარდეთ.

დავაუკაცდით.

გამრავლდით.

გახსოვდეთ, ვისი გვარისა ხართ, რომელი მიწა-წყლის შვილები, არ დაივიწყოთ საქართველო, თქვენი ტკბილი დედაენა.

მრავალჟამიერ!

ივანე ბერიტაშვილი,
აკადემიკოსი



უცხოეთში მიცხოვრია და ვიცი: ბედნიერ დღეს უფრო გჭირდება კაცს სამშობლო. მაშინ უფრო ნაზი ხდება მამულთან დამაკავშირებელი გრძნობების თითოეული სიმი...

ახალი წელიწადი შემოდის ჭართულ მიწაზე და მინდა ეს მილოცვა თქვენი სამშობლოდან წარმოგზავნილ ფეხბედნიერ მეკვლედ მიიღოთ.

აბა, ახალი წლის მიჯნაზე სხვას რას გისურვებთ უცხო მიწას შეხიზნულო თანამემამულენო, თუ არა სიმტკიცესა და ერთურთის გატანას, გამრავლებასა და მამულის სიყვარულს, დედაენისა და სამშობლოს არდავიწყებას.


ლადო გუდიაშვილი,
საქართველოს სახალხო მხატვარი.



ხელში ორ ჭიქას ავიღებ,
ვილოცებოდე ღვინითა,
ყველა კარგად დაესწარით,
მრავალ ახალ წელს დილითა.

ხალხური.

„მესტვირე"
უჩა ჯაფარიძის ნახატი



სასიამოვნო და სასარგებლოა საახალწლო მილოცვა-მოლოცვის ქართული წესი, ჩვენებური მეკვლეობა. უამისოდ დუნიაზე გაბნეული ადამიანები ერთიმეორეს ადვილად დაივიწყებენ, დაკარგავენ, საზოგადოებრივი დამოკიდებულების ძაფსაც გაწყდება, თანაარსებობის ღიმილი მძივი დაიბნევა.

ადამიანი ღირსია კურადღება-მოფერებისა მაშინაც კი, როცა ვერ ხედავ და არც ხმა გესმის. მთავარია გჯეროდეს, რომ სხვასაც იგივე ამოძრავებს, რაც შენ გაცოცხლებს. შორი-შორ დამდგარ ქართველებს კი ერთი რამ მაინც უნდა გვჭონდეს დიდი საერთო, — დედასამშობლოს სიყვარული, მის საიმედოდ აზროვნება, მის სასარგებლოდ ხელგამრჯეობა, მისი წარსულის დაფასება, თანამედროვეობის გახარება და მომავლის აყვავება, — დიდებული წარსულით ჩვენი დიადი დღევანდელობის გამაგრება და კიდევ უფრო უკეთესი მომავლის მოსამკვლად აწმყოს ძლიერების გაათკეცება.

ზოგი იტყვის — იდეოლოგია ქართველობასაც ანწუხებსო. ეს მართალია, თუკი იმ სიტყვის ეზღვა, როგორიც არის პიროვნულისა და საკაცობრიოს დაპირისპირება, ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ერთმანეთზე გადაკეთება. მაგრამ განა ივარგებს ეროვნულობას ქომაგად დაუდგე და ინტერნაციონალურობაც დედაღერძად არ გაიხადო? ვერც ინტერნაციონალურობას დაიჩემებ, თუ ეროვნულობის ბორბლებს არ მოარგებ. ვინც ამ ორივეს გულით შეაერთებს, თანამედროვე დედასამშობლოს ერთგულ შვილად ყველგან დარჩება, — შინ იქნება, თუ გარმა აღმოჩნდება, საქართველოს მიწაზე იმღერებს, თუ უცხოეთში გაბიზნესული იტირებს.

მე ასეთი სიხარულიც მახარებს და ასეთივე სინანულიც მაიმედებს. იმასვე ვუსურვებ იმათაც, ვინც სამშობლო დაკარგა, მაგრამ მჯერა, რომ დაიბრუნებენ, თუ ახალ საქართველოს სახელს გასაკილად არ გაიმეტებენ, სიკეთეს კი არას დააკლებენ.

ოთარ ეგაძე,

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, უურნალ „საბჭოთა ხელოვნების" მთავარი რედაქტორი.

ახალი წელიწადი მუდამ ახალი იმედების წყაროა! დაე, ჩვენი ნატვრანი, სადაც უნდა ვიყოთ ჩვენ, სამშობლოს მომავალთან იყოს მხარდამხარ!



დედაენით, ქართული მიწა-წყლიდან — ბედნიერ ახალ წელიწადს გილოცავთ, ჩვენო თვისტომნო!

ლევან გოთუა,
მწერალი

Hamburg
Georgischer Verlag
– Sakhartwelo –
Nikolos Dschanelidse

ჩვენი ძვირფასო, უცხო მხარეში დაჭარმაგებული ძია კოლია! გილოცავთ ახალ, 1972 წელს! გისურვებთ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას! ბედნიერების მომტანი ყოველიყოს თქვენთვის 1972 წლის ყოველი დღე და ყოველი საათი!

ჩვენ აქ ყველანი კარგად ვართ, მხოლოდ ძალიან გვენატრები. ვისურვებდით მალე შევხვედროდით ახალ წელიწადს ჩვენს პატარა ოჯახში ყველანი ერთად.

ჩვენთან ერთად საახალწლო მოლოცვას გითვლის ივდითი ბებია.

გაცნობით, გეხვევით ძმისწულები

თენგიზ და ვაჟა ჯანელიძეები.



საქართველოში მცხოვრებ ქართველებს — არჩილ მჭედლიშვილსა და ვახტანგ ბერიაშვილს, ყველას, ვისაც ვახსოვარ, ვულოცავ ახალი წელიწადის მობრძანებას.

იხარეთ, იბედნიერეთ. დაე, მალე გაგთენებოდეთ ისეთი ბედნიერი 1 იანვარი, როგორიც მე 1960 წელს გამითენდა. ამ დღეს უცხოეთში 17 წლის ხეტიალის შემდეგ, პირველად დავადგი ფეხი მშობლიურ მიწას!

ვიცი, მიწის ყივილი თქვენც გაწვალებთ და აბა სამშობლოსთან შეხვედრაზე უკეთესი რა გისურვოთ!

ვახტანგ წიკლაური,
ყოფილი ემიგრანტი.



ვიდის ახალი 1972 წელი. საცაა შემოაღებს კარს მკვლელ და ახალი იმედებით აავსებს ყველა ჩვენგანის ოჯახსა და კერას. საცაა გადავეხვევით ერთმანეთს და ავწევთ უფრო უკეთესი მომავლის სადღეგრძელოს და უპირველესად შეისმება სადღეგრძელო ჩვენი უბერებელი მამულისა, მისი ბედნიერებისა და მომავალი სიხარულისა.

ეს ასეა ჩვენში, საქართველოში, უხსოვარი დროიდან და ასე იქნება მარად.

მობრძანდება ახალი, 1972 წელი. ისიც შარშანდელივით ქართველებს მრავალ გამარჯვებას გვპირდება. შარშანდელმა წელიწადმა იმედები გაგვიმართლა. ბევრჯერ გაგვახარა, ბარაქიანი, ხალისიანი და მშვიდობიანი იყო. ვერ დავემდურებით.

მობრძანდება ახალი, 1972 წელი და მივულოცოთ ყველას, ვისაც თავისი ერის ბედნიერება უნდა, ვისაც სურს ქვეყნიერებაზე მშვიდობა სუფევდეს!

ახალი წლის დადგომისას არ გვავიწყდებით თქვენ, შორს, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით მცხოვრებნო, ჩემო თანამემამულენო! არ გვავიწყდებით თქვენ, ვინც საქართველოზე მუდამ კეთილად ფიქრობთ, სულითა და გულით გინდათ მამულის სიხარული, აყვავება და გამარჯვება. არ გვავიწყდებით თქვენ, ვინც კარგად იცით, რომ არსებობს ქვეყნიერებაზე უძველესი მაგრამ მუდამ ახალი საქართველო, მრავალჭირნახული და გამარჯვებული ქართველი ერი, რომელიც თავის დიდებულ წინაპართა წმინდათა წმინდა მიწაზე შეპხარის თავის აწმყოს, თვითვე განაგებს თავის ბედ-იღბალს, მომავალს აშენებს და მისი ბედნიერებისათვის დღე-მუდამ იღვწის.

გილოცავთ ახალ წელიწადს. ვულოცავთ თქვენს ოჯახებს, განსაკუთრებით თქვენის შვილებსა და შვილიშვილებს. ვუსურვებ მათ ბედნიერ მომავალს, მალე ენახოთ სამშობლო — საქართველო. კიდევ უფრო უკეთ ჰსწავლოთ, არ დავივიწყოთ დედაენა, ენა რუსთაველისა, ბრძენთა და გმირთა, უხსოვარი დროიდან ჩვენამდე მოღწეული ქართული ენა.

მრავალ ახალ წელიწადს, უცხოეთის ქვეყნებში დაფანტულო ქართველებო, ჩემო თანამემამულენო, თქვენ, ვისაც გიყვართ წრფელი, წარუშლელი, კეთილი დედასამშობლო და ქართველი ერი!

მრავალჟამიერ!

რევაზ მარგიანი,
პოეტი.

საახალწლო მილოცვა

გპრეზიანშვილი

თუ არ დაჩლუნგდი, თუ არ მოეშვი
და ქართველობას ისე ატარებ,
ვით გაავებულ უდაბნოებში
დაატარებენ სავსე მათარებს;
მოგონებათა თუ გცემს ალმური,
თუ ჩვენი სისხლით გიხურს ძარღვები,
თუ ისევ გახსოვს შენი მამული,
მშვენიერებით გულის წამღები;
თუ ფერი მისი შენთვის არ ბაცობს,
თუ გბორკავს მასზე ფიქრის თარეში,
მაშინ, მითხარი, ქართველო კაცო,
— რა გაძლებინებს უცხო მხარეში?
დაენდე გუმანს, ამოსაზრდელად
რომ უცდის წვიმას, ამინდს
ნიყვივით,
მაშინ მიხვდები როგორ აღშევდე —
სისხლი და ხორცი საით გიყივის.
შენი ბავშვობის ვიწრო ბილიკებს,
შენი ფეხის ხმის ასე მნატვრელებს,
მარტო უშენო ფიქრი მიიკვლევს,
მხოლოდ უშენო ქარი ამტვერებს.
ვით ნერგი, უცხო მხარეს დარგული,
უშენიანოდ ლამის ჩამოდნი,
შთენილი მარტოდ, გული საგულეს
თუ გინდა ჩადგეს, დროზე ჩამოდი!
მწამს ისევ კაცობ, ხარ დაუმხობი,
და გაგეგება გზათა გაკვლევა.
საქართველოში შვილებს უხმობენ,
გულს დაგვაჩნდება შენი დაკლება.
სხვა გასაქანი არ გაქვს არსაით
მე შენი გულის სიმებს ვეხები,
მოხვალ; მიგიღებთ ნამდვილ
ძმასავით,
ღვიძლი ძმებივით გადაგეხვევით!
მუხრანს მოვნახოთ ქვევრი უხადი,
ერთ ქვეყნად ღირდეს მისი ჭაშნიკი,
რა შევხურდებით, ხომ ვართ
მუხლადნი,
უნდა მივხედოთ საქმეს მაშინ კი.
მტერს და მოყვარეს ჩვენი ქვეყნისას,
ძმაო, პასუხი ერთად მივაგოთ,
ჩვენ ქართველობა რადგან გვეღირსა
უნდა ბოლომდე კაცად ვივარგოთ!

ზაქარია შერაზადიშვილი

დავიწყებულობაზე, წელო ახალო, ქართული ფუძე, ბერი ბაღალე... ამ სიტყვებით იწყება ქართული კალენდარი და მართლაც, უკეთესი რა უნდა უთხრა მოხუცებულ მიწაზე მოსულ ახალ წელიწადს.

● 140 წლის წინათ, 1832 წლის პირველ იანვარს, სოლომონ დოდაშვილის „ინიციატივითა და რედაქტორობით გამოვიდა პირველი ქართული ჟურნალი „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი".

● 120 წლის წინათ კი, იანვრის პირველ რიცხვებში,

ი ა ნ ვ ა რ ი

თბილისში გამოვიდა პერიოდული ჟურნალის „ცისკრის" პირველი ნომერი გიორგი ერისთავის რედაქტორობით.

● 1872 წელს 12 იანვარს დაიბადა გამოჩენილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე კოტე ანთაძე.

● 14 იანვარი ქართული თეატრის დღეა, რომელსაც საფუძველი 1850 წელს ჩაეყარა.

100 წლის წინათ, 1872 წლის 14 იანვარს, დაიბადა ნინო ნაკაშიძე, გამოჩენილი საბავშვო მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

● 16 იანვარს დაარსების 50 წლისთავი უსრულდება საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს.

● 1924 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა პროლეტარიატის დიდი ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი.

● 100 წლის წინათ, 1872 წლის 30 იანვარს, დაიბადა ცნობილი ქართველი მწერალი და კრიტიკოსი იპოლიტე ვართაგავა.



სათაგური

I.

ქალაქიდან ძია ესტატე ღამელა იყო, როცა სახლში მოვიდა. მეორე დღეს შობა თენდებოდა: ძალზე მოერეკებოდა შინისკენ ესტატე თავის „მერანს", რომ შობა დღეს საკუთარ ოჯახში ყოფილიყო. „მერანიც" თავს როდი ზოგავდა: მოძუნძულებდა გაყინულ გზაზე და, როგორც მოხუცი ყავარჯენს, ისე მოაბაკუნებდა დაუძლურებულ ფეხებს; ყურებს, თითქოს დაჰმტვრევიაო, უხეიროდ ატლაკუნებდა. სიბერე ძნელია, გმირს როსტომსაც კი მოჰრევიაო, ნათქვამია, და, რა საკვირველია, ესტატეს მერანი დაეუძლურებინა. პატრონი მაინც დღესაც გაყიდვას არ უპირობდა, თუმცა მისი ცხენი ოცს წელს გადაცილებული იყო და მუშტარიც ბევრი ჰყავდა. ვინ იყვნენ, თუ იცით, ესტატეს მერნის მუშტრები? წვრილი მოვაჭრენი: ჩარჩები, ქათამ-კვერცხის, წვრილმანის მყიდველ-გამყიდველნი, რომელნიც სუნით დაეძებენ იაფფასიან საქონელს ცოტა ხნობით ხელის მოსანაცვლებლად. მაგრამ ესტატე დიდს უარზე იდგა:

ჩემი ცოცხალი თავით მერანს ვერ მოვიშორებ, დიდი ამაგი აქვს ჩემზედ; აქო და დაბერდაო, ამიტომ ავიღო და ჩარჩებს ჩავუგდო ხელში, რომ ტყავი გააძრონ? ბებერი ვარ, მაშ ჩამსვით გოდორში და დამაგორეთ კლდეზე! ეგ არის თქვენი სამართალი?! გაყიდვა არ შაიძლება; უნდა ჩემს ხელში მოკვდეს! — ამ პასუხით ისტუმრებდა ესტატე ყველა მუშტარს.

ძია ესტატე მეტისმეტი კეთილი, სათნო ადამიანი იყო: იმისაგან წყენა სოფელში პირუტყვსაც კი არ მოაგონდებოდა, განაღამც ადამიანს. მხიარული, ღაჟღაჟა, მუდამ მოცინარი, გადაპენტილი სახისა. ოჯახის გაყრაში და მოჩხუბართა შერიგებაში აუცილებელი შუაკაცი იყო და ლხინში — თამადა.

— ჰაა, აბა შერიგდით. — ეტყოდა ესტატე მოჩხუბრებს: — რა გაჩხუბებთ, თქვე კაი კაცებო, განა სულ ცოცხლები ვიქნებით, ხომ უნდა დავიხოცნეთ?! ეს ჩვენი წუთისოფელი — წუთია; სიამოვნებით გავატაროთ, იმას რა სჯობია, სისხლი სისხლით არ დაბანილა და არ დაიბანება; სისხლს წყალი დაჰბანს მხოლოდ. აბა, მოდით, პროშტი: ჯერ მე მაკოცეთ, მერე ერთმანეთს აკოცეთ; თუ რა საჩხუბარი გაქვთ, იმას რა სჯობია — დინჯად მოლაპარაკებით გავათავოთ. მუშტი-კრივით ვის რა გაურიგებია, თქვენ გაარიგოთ?! ოღონდ შერიგდით და სადილი ჩემი იყოს. — ესტატეს არც შუაკაცობა მოუცდებოდა და დანაპირებსაც ხელად აასრულებდა. ხელობით სოფლის დალაქი იყო და თავისთვის ტკბილად ცხოვრობდა: ჰქონდა საკუთარი სახლ-კარი, ვენახი, ცოტაოდენი სახნავი მიწა, ერთი თვალი წისქვილიც უბრუნავდა. ძმათმოყვარეს, კეთილს, სათნოს, უწყინარს, პურადს, გულადს და ამასთან ხანში შესულს ადამიანს სოფლელებმა ძია ესტატე დაარქვეს. ყველა, დიდი და პატარა, ესტატეზედ ხნიერებიც კი „ძიას" ეძახდნენ.

ესტატეს ხანდახან ხუმრობაც უყვარდა. როცა, მაგალითად, ქალაქიდან მოაძუნძულებდა თავის რაშს და გზაში ნაცნობები მიესალმებოდნენ:

— ძია ესტატეს გამარჯობა! საიდან? საიდან?

— იერუსალიმიდგანაო, — უპასუხებდა.

ქალაქში მიმდინარს თუ შეეკითხებოდა ვინმე:
— საით? საითკენ გაგიწევია?

— იერუსალიმშიო, — უპასუხებდა და თან გულიანად იცინოდა: — არა, ეგ ოჯახქორები, რომ მეკითხებიან, საით მიემგზავრებიო, როგორ არ იციან, კატის მანძილი საბძელია. არა, თუ არ დაგიშლია, მე და ჩემი ცხენი განჯა-ერევანს, ტრაპიზონს ან თეირანში წავალთ თუ ჩავალთ, ქალაქში სხვაგან სად უნდა წავიდეთ? ეჰ, განა არ იციან, მაგრამ ჩვეულებაა, ეგეც ერთი რამ სალმის სანელია.

II.

ესტატე ჩვეულებისამებრ ზარხოშად იყო, როცა სახლში მოვიდა. ცხენი თავის ერთსართულიან სახლის მოაჯირთან ისე ახლო მიაყენა, რომ „მერანს" თავი დერეფანში გადააყოფინა და დაიძახა: „ოჯახიშვილებო, გამოიხედეთ, სტუმარი არ გინდათ?" შინ ფაცაფუცი შეუდგათ. „პაპა მოვიდა, პაპა მოვიდა". გაიძახოდნენ ესტატეს შვილიშვილები, სონა და კოლა: გოგო ექვსი წლისა, ხოლო კოლა რვისა. „სანთელი ძაანათეთ, სანთელი! — იძახოდა ესტატე: რა დაგემართათ, ხომ არ დაიძინეთ?".

ჯერ სიტყვა არ გაეთავებინა, რომ პატარა ხელის ლამფით გამოვიდა კარში მსხვილი, ჩარგვალებული დედაკაცი, მეუღლე ესტატესი, ეფემია.

— ოჰ, საღამო მშვიდობისა, ეფემიავ! ჰაა, როგორა ხარ, სულიკოჯან? მე კარგადა ვარ, ძალიან კარგად. ცოტა შემცივდა.

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს! რა არის, კაცო, ამ ღამე სიარული? სხვა არა იყოს რა, ნადირისა მაინც არ გეშინია? — სთქვა ეფემიამ.

— რა ვქნა, დამიგვიანდა. ნადირით? განა მე ნადირი მერჩის? სამგლე და ნადირის შესაჭმელი ხალხი ცოტაა განა? — სთქვა ესტატემ.

— პაპა, სათაგური არ მოიტანე? — ჰკითხავდნენ ესტატეს დაჟინებით სონა და კოლა. — ჩუსტები, წაღები, საკაბე? — შესტიკტიკებდნენ მოაჯირზე მიყრდნობილი ბალღები პაპას.

— ყველაფერი მოგიტანეთ, შვილებო, ყველაფერი! — უპასუხებდა ესტატე და თან ხურჯინსა ჰხდიდა. ამ დროს მისმა მერანმაც დაიხვიხვინა და ისეთი ორთქლი გამოუშვა ნესტოებიდან, რომ ეფემიას კინაღამ ლამფა გაუქრო.

— რა იყო, ჰოო, კარგი, ცხენო?! — სთქვა მან გაჯავრების კილოთი.

— ქერი უნდა საწყალს ჩემ მერანს, — სოქვა ესტატემ, — მაგრამ ჯერ დაღლილია, დაისვენოს პატარა ხანი და მერე ვაჭამოთ; ცოდოა, ძალიან გამოვრეკე. — ესტატემ ტანიდამ აიხსნა მოხვეული ნაბადი და ცხენს გადააფარა; ხოლო თავად ყაბალახით თავ-ყურშეხვეული, ხურჯინით ხელში, გაჰყვა უკან თავის დედაკაცს, რომელიც წინ მიუძღოდა. ესტატემ გახურებულ ბუხარს მიაშურა. ხურჯინი ტახტზე დასდო.

— სანდრო როგორ იყო? ვენაცვალე იმას სიყრმეში! — ჰკითხა ეფემიამ, ვიდრე ესტატე ბუხარს მიუჯდებოდა.

— ძალიან კარგად არის. ჯამაგირიც მოუმატებიათ. თვეში სამი თუმანი აქვს, — სთქვა ესტატემ თავმომწონედ, რომ ასეთი ყოჩაღი შვილი გამოუვიდა. ეფემია ღმერთს უმადლოდა. ხოლო რძალმა სოფიომ მამამთილს მიაშურა და ლეკური ჩუსტების ხდა დაუწყო. ბავშვები მიეხვივნენ პაპას და აღარც აცდიდნენ ლაპარაკს: სათაგური, ჩუსტები, საკაბე და იმისთანები იყო იმათი სალაპარაკო. ეტყობოდათ, რომ უფრო სათაგური ენიაზებოდათ ყველაზე მეტად. პაპამ ორივენი გადაჰკოცნა და აღუთქვა, რომ მალე ყველაფერს ამოართმევდა ხურჯინიდან.

— ცოტა ხანს დამაცადეთ, შვილებო, ხელები მოვითბო, მცივა, უფრო კარგად ამოვალაგებ ხურჯინიდან ყველაფერს. ამისთანა ხელებით რა ამოვიღო?! აი ნახეთ, როგორ დაკრუნჩხული თითები მაქვს, — და უჩვენა დალურჯებული თითები, თანაც ხელი ჯიბეში ჩაიდო და ამოიღო მჭიდით კანფეტები, — მანამდე ამას შეექცით.

— მოდით აქეთ, თქვე ავაზაკებო, ნუ აწუხებთ პაპას, ჭკვიანად დასხედით! — შეუტია ბავშვებს სოფიომ. ბავშვები გაფაციცებით ჰკრეფდნენ ტახტზე გაბნეულს კანფეტებს.

— ჰაა, აბა, ჩხუბი არ მოგივიდეთ, თორემ, იცოდეთ სათაგურს ისევ ქალაქში წავიღებ, — სთქვა ესტატემ. — ერთი ჩაი რომ დამალევინოთ, ძალიან კარგს იზამთ. გზაში შემცივდა და ცოტა ზარხოშადაც გახლავართ. — ვიდრე ესტატე ბუხარს დაიწყებდა, სოფიო ჩაის თადარიგს შეუდგა: მიაშურა იქვე თეთრ ტილოში გადაფარებულს სამოვარს და ხელად ლანგრით ჩაი და შაქარი მიართვა მამამთილს.

— ოჰ, ღმერთმა მშვიდობა მისცეს ასეთ ლოთობას! კაცი დავბერდი და ჩემს სიცოცხლეში ამისთანას არას მოვსწრებივარ: მეტისმეტი ლოთობაა; უქმი და საქმი არ გააჩნიათ; სარდაფები მუდამ დღე სავსეა ხალხით; დიდი, პატარა, მდიდარი, ღარიბი, ყველა ლოთობს. კაცს ეგონება, თავებს იმარხავენ, ხვალ სიცოცხლეს აღარ მოელიანო. არ ვიცი — მე მეჩვენება, თუ მართლა ასეა.

— ეჰ, ქალაქია, ესტატე-ჯან: ქეიფს რა გამოჰლევს! — სთქვა ეფემიამ: — მაგრამ მე ევ როდი მეკითხება, თვალი იმათაც დაუდგესთ! ასემც უქნიათ, ღვინისა და არყის რუმბებში ჩაუხრჩვიათ თავები! შენ ეს მითხარი, სანდრო არ აპირობდა ამოსვლას?

— როგორ არა, როგორ არა: საახალწლოდ უსათუოდ მოვა, პირობა მომცა. მართლა, ზალიკამ და სიდონიამ დიდი მოკითხვა.

— საწყლები! გმადლობთ, გმადლობთ, — სთქვა ეფემიამ. — ჰნახევი?

— როგორ არა, გუშინ სადილად იმათსა ვიყავი. კაი დროება გავატარე.

— როგორ არიან? როგორ რასმე ცხოვრობენ? — დაეკითხა ეფემია.

— კარგად, ძალიან კარგად. კაცი გამდიდრებულა: ასი თუმანი ნაღდი ფული მექნებაო. აქ ასი კაპეიკი არა ჰქონდა. ბზეს, ერთს კალათას და ერთს ვირს შენი მამიდაშვილი ზალიკა, ეფემიავ, კაცად გამოუყენებია.

— ღმერთმა ბრძანოს, ნეტა არ იქნება!... მოხერხებული კაცი ქალაქში მუდამაც გამდიდრდება, — სთქვა ეფემიამ კვალად. ამ დროს ესტატეს მერანმაც დაიხვიხვინა.

— ოჰ, ქეიფში გავები, ცხენი კი დამავიწყდა. საწყალს ქერი უნდა. გომურში უნდა შევიყვანო, თორემ შესცივა, — სთქვა ესტატემ, წამოდგა ზეზე და გაემართა კარებისაკენ. გაალო თუ არა კარები, ბოდიში მოიხადა თავის მერანთან, რომ დაუგვიანა ქერი:

— ჩემო მერანო, ჩემო მერანო! ეხლავე იქნება, ქერი, ეხლავე, მომიტევე, რომ ამდენი ხანი გაცდევინე, შე საცოდავო! ცოტა ხანი მოითმინე, მერანო, ყველაფერს მოგართმევ, რაც გესიამოვნება, რასაც მიირთმევ, — უთხრა ესტატემ თავის მერანს, რომელმაც პატრონის დანახვაზე უფრო მოუმატა ხვიხვინს, ხოლო დაბალ ხმაზე ნესტოებს ბერავდა და თან ხელებში ეტანებოდა ძია ესტატეს.

ესტატემ მერანი დააბინავა და სახლში დაბრუნდა.

— პაპავ. წაღები!... პაპავ, სათაგური! — გაისმა ბავშვების ხმა. ორივეს გაეფარჩხათ ხელები და საწყლად იღმიჭებოდნენ.

— ამ ბავშვების ცოდო წამწყმედს, თუ თხოვნა არ ავუსრულე, — თქვა ესტატემ.

არ დამჯდარა, მაშინვე ხურჯინს მიჰმართა. ჯერ ერთი თვალის სახლართები გახსნა და დაუწყო ამოლაგება. ბავშვები თვალ-წარბში და ხელებში შესცქეროდნენ. ეფემია დოინჯშემოყრილი, თავმომწონედ დასჩერებოდა. სოფიოც შორიახლოს იდგა გულხელდაკრეფილი და პირმოკუმული. დიდი ჭრელი კატა ტახტზე მიდი-მოდიოდა კუდაფშრუკული, ბუხარში ცეცხლზე ხუხვით გვერდებზე და ზურგზე გატუსული ტყავით. ექლიშებოდა, ეხახუნებოდა ბავშვებს და მოკაუჭებულს კუდს, როგორც შოლტს, თვალ-წარბში უსვამდა. ისიც თითქოს რაღაცას მოელოდა. ამ კატას ღნავალას ეძახდნენ, რადგან წამდაუწუმ ღნაოდა და კნაოდა. თაგვი კი თავის სიცოცხლეში ერთიც არ დაეჭირია. ჩხავანა კატა, განა არ იცით, რა თაგვს დაიჭერს?!

— აბა, რაზე რა დავაწყო; მოიტათ რამე, ადამიანებო! — წარმოსთქვა ესტატემ.

ეფემიამ მაშინვე მოურბენინა ლანგარი და ტაბაკი.

— ეს ბახტაკი! იჰ, იჰ, რა არის, რომ იცოდე, ეფემიავ?! ნახე, რა არის და! — სთქვა ესტატემ და ორი წყვილი გელაქნური დააწყო ტაბაკზედ.

— ოჰ, თევზები, დედილო, თევზები! რა კარგებია, ჭრელები! — ამბობდნენ ბავშვები და თან ხელებს უსვამდნენ და საკოცნელად ელამუნებოდნენ; ყურს არ უგდებდნენ დედის ბუზღუნს და დარიგებას: ჭკვიანად იყავითო.

— ესეც ძროხის ხორცი! ჩალაღაჯია, ყასაბ გიგოლას მოვაჭრევინე. ჩემი ძველის-ძველი ძმობილია; რა შვილია, ჩემთვის ურიგო რასმე გაიმეტებდა! ესეც ბრინჯი, აქულისაა! ესეც ჩაი და შაქარი! კიდევ რა? კიდევ რა? — ამბობდა ესტატე მოღიმარი სახით; — ოჰ, ესეც მწვანილი, ოხრახუში და წიწმატი თავის რამე რუმეებით!... ჰაა, კიდევ გინდა რამე, ეფემიავ? ღმერთო, ღმერთო! აბა, ვნახოთ: ესეც ხმელი ხილი საახალწლოდ! მუდამ ქალაქში ხომ არ ვირბენ! ესეც ილი, მიხაკი და დარიჩინი. ყველა ამას, ეფემიავ, ერთი დედალი მიუმატე და ხვალ სწორედ ხელმწიფის საკადრისი სადილი გვექნება. ხომ იცი, ხვალ სტუმრები მეყოლება.

— ადვილია, ადვილი, — წარმოსთქვა ეფემიამ.

— ჰაა, როგორი ბიჭი ვარ, ეფემია-ჯან? — ეუბნებოდა პირმოღიმარი ესტატე თავის მეუღლეს.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი; ვინა გწუნობს მერე? — მიუგო ალერსიანად ეფემიამ და თანაც მხარზე ხელი დაჰკრა.

— ვნახოთ მეორე ვაგონი, — სთქვა ესტატემ. — ვნახოთ აქ, რაღა ამბავია? აბა აქ არის, რაც არის და! აბა მოდით, მოდით, ამოდით, ნუ იმალებით და! — ჩაჰხაროდა ძია ესტატე ხურჯინის თვალში ჩაწყობილს ნავაჭრ საქონელს. — ესეც სონას საკაბე და ფეხსაცმელი.

— დილილმე, დილილმე! — შეჰძახა სონამ და მიეტანა პაპას ხელებში. ფეხსაცმელს და საკაბეს გულ-მკერდში იხუტებდა და სანახავად არავის აჩვენებდა.

— ესეც კოლას წაღები, — სთქვა ესტატემ: — „ზაგრანიჩნია", ნამდვილი; როგორ ლაპლაპებენ. — კოლამ ხელები მიატანა და ჩამოართვა პაპას წაღები.

— ესეც სოფიოს საკაბე, თავის მეფემ გამოუგზავნა, — სთქვა ესტატემ და მიაწოდა სქელ ლურჯ ქაღალდში გამოხვეული თავის რძალს, მაგრამ ეფემიამ დაასწრო და ჩამოართვა.

— ქიშმირია, ქალო, ქიშმირი! ეტყობა, რომ გამდიდრებულა ჩემი შვილი, აქამდის ჩითის კაბის ყიდვაც კი ეზარებოდა და ახლა ჰყურობთ?... უცბად ქიშმირი. კარგია, მშვიდობაში გაცვითე, შვილო! — სთქვა ეფემიამ და გადასცა რძალს საკაბე.

— ესეც შენთვის ფლოსტები, ჩემო გვრიტო და მარგალიტო, — სთქვა ესტატემ: — ნამდვილი საშენოა, საბებრო. ამის მეტი ვერაფერი გიყიდე, რადგან ჯიბესთან უკაცრავად გახლდით. ეჰ, ჩვენ ბებრები ვართ: მე ძველი ჩოხით, შენ ძველი კაბით, ჩემო ეფემიავ. ამათ გაიხარონ, ჟეილები არიან. ჩვენ იოლად გამოვალთ.

— ვინ გემდურის, კაცო! ამისაც დიდი მადლობელი ვარ, — სთქვა ეფემიამ.

სულ ბოლოს ძია ესტატემ დიდი ამბით ამოიღო სათაგური, რომელიც დააბარა ყველა ოჯახის წევრმა დიდიან-პატარიანად გულმოდგინებით.

— ესეც თქვენი სათაგური! — წარმოსთქვა ესტატემ; — ვნახოთ, რამდენს თაგვს დაიჭერთ?!

— გიშველა ღმერთმა! — სთქვა გახარებულმა ეფემიამ; — სულიღა დაამწარეს ამ თაგვ-ტიალებმა, განჯინაში ვეღარაფერი შემინახავს...

ბავშვებმაც სათაგურს დაუწყეს სინჯვა: „აბა როგორია, დიდედო?" — გაიძახოდნენ ისინი და თან გულმოდგინედ ათვალიერებდნენ თაგვების სულთამხუთავს...

— მაშ არა, შენ დაიჭერ თაგვსა, მეხი კი ჩაგარტყი მაგ თავში! — სთქვა ეფემიამ და თანაც ღნავალას, რომელიც ცეცხლა-პირას წამოყუნთებული იყო, თავში სილა ჩაარტყა: — მთელი წელიწადია თაგვ-ტურს ვადევნებ და მე ამის დაჭერილი თაგვი ვერა ვნახე. ეს ხასიყვდილე მარტო ხელებში შემოგვეჩერებია, რომ ვაჭამოთ რამე.

— თქვენც სათაგური ამუშავეთ, — სთქვა ესტატემ: — ღნავალა ძალიან ჭკვიანად იქცევა, ცოდოს ერიდება.

— ცოდოს, ამისმა მზემ, — სთქვა ეფემიამ და წაჰკრა მუჯლუგუნი კატას: — დაიკარგე აქედან, შე სასიკვდილევ: ეგ ზნო ჰქონდეს, ცოდოს არ მოერიდებოდა, მაგრამ უნარი რომ არ გახლავთ!

თაგვების ჯავრის ამოყრის იმედი ყველამ სათაგურზე დაამყარა. იმის მომზადებას შეუდგნენ. ეფემიამ ცეცხლზე დიდი კაკლის ლებანი მოშუშა, დააგო მავთულზე და ასე ფეხზე შემოყენებული დადგა განჯინაში, როცა ბავშვებს აუხსნა და თვალისაჩინოდ აჩვენა, თუ როგორ შეძვრებოდა თაგვი, როგორ დაუწყებდა ცუცნას ლებანს, მახე როგორ დასხლტებოდა და მოამწყვდევდა შიგ ავაზაკს.

მცირე ვახშმის შემდეგ დაიძინეს. ბავშვებმა საშობაო საჩუქრები ბალიშქვეშ ამოიდეს... ბუხრის წინ მხოლოდ ღნავალა სთვლემდა, ხოლო ბუხრის გვერდზე ლობიოს სადუღარი მოჩანდა სახელოვანი ციცხვით, ყორნის ბოლოსავით გაშავებულ სარქველიანად.

III.

სათაგვეთის სამეფოში დიდი ჩოჩქოლი ატყდა. განჯინიდან არაჩვეულებრივი, გულის წარმტაცი, ყნოსვის დამატკბობელი სუნი შემოდიოდა. მთელი გუნდი თაგვებისა დაიძრა ამბის გასაგებად, წინ მოუძღოდა სახელოვანი ფიცხელა, განთქმული სიმარდით, გულადობით და გამბედაობით; იმას მოსდევდა ცელქა, შემდეგ ცქმუნა, მერე კუდა, ფხორა; დანარჩენი თაგვების სახელს ვინ ჩამოსთვლის ან კი? მთელი ფარა იყო: სულ რჩეული ვაჟკაცები. როცა პირველად ჩამოიხედეს განჯინაში, ცოტა არ იყოს შეკრთნენ: სათაგური დაინახეს.

— ბიჭებო, აქ რაღაც ოინია! — დაიძახა ფიცხელამ: — ჯერ ამისთანა რამ მე აქ არ მინახავს: არც ჯამსა ჰგავს, არც ქილაა, არც თეფში, არც ბადია, არც საშაქრე, არც ბოთლი; სხვა რაღაც რამ არის საუცხოვო, საგანგებოდ მოწნულ-მოქარგული და ის მშვენიერი სუნიც სწორედ იქიდან მომდინარეობს. ვხედავ კიდევაც, ლებანია კაკლისა. აბა შეხედეთ, შეხედეთ, როგორ მარჯვედ მოსატაცებელია.

თაგვებმა ცქერა დაუწყეს: ხან ერთი თვალით გასცქეროდნენ, ხან მეორეთი.

— მართლაც საუცხოვო რამ მანქანაა. სიფრთხილეს თავი კი არ ასტკივა. ჩვენ სამტ[illegible], მოგონილი და! რაღაც იმნაირი რამა [illegible] და თვალი არ ენდობა, — სთქვა ცელქამ.

— ჭეშმარიტებაა! — [illegible] თაგვები და ადასტურებდნენ ცელქას [illegible] — [illegible]ნდა ახლოდან გავჩხრიკოთ, მაგრამ ვინ [illegible] ისაა!

— აქ რას ვაკეთებ? [illegible]ს! განა ეგრეც დავლაჩრდით: უნდა [illegible] სათაგვეთი? — სთქვა ფიცხელამ.

— შენ იცი! — დარ[illegible]: — მხოლოდ ახლო არ მიეკარო, [illegible]ჩხრიკე. ახლო არ მიეკარო, გირჩევთ: შო[illegible], შინ მშვიდობით მიდიო, ნათქვამია.

ფიცხელა პირდაპირ მიე[illegible] სუნს თვალწარბში აბნევდა და უნებლიე[illegible], მაგრამ ფიცხელამ გზა აუქცია კა[illegible] გვერდიდან მოექცა: შემოუარა რამდენ[illegible] არაფერი სახიფათო ვერ დაინახა, სათაგუ[illegible] ჭურჭლად დასახა, სადაც ერთი [illegible]: უთავდარიგო დიასახლისს დავიწყ[illegible] და თავის ამხანაგებს ასევე უამბო...

— რას იტყვით, ბიჭებო[illegible] ფიცხელამ თაგვებს: — მე საშიშს იქ არა[illegible] შიგ შესვლას თუ ვერა?

— მოდი, მოვერიდოთ, [illegible] რაღაც მანქანაა... გვაკლდეს [illegible] ლებანი, — სთქვეს თაგვებმა.

— ჰაი, თქვე ლაჩრებო, [illegible] თქვენი ბიჭობა, რომ ტრაბახობთ: მე ეს [illegible] მე ვარ? შევირცხვათ ვაჟკაცობა! მე [illegible], რა ბიჭია ფიცხელა! — სთქვა და გა[illegible]საკენ. ხოლო სხვა თაგვებმა სული განაბ[illegible] ვეფალყურებდნენ. ფიცხელა მარდად მი[illegible] და ცოტა ხანს შესავალ კარებთა[illegible]-მოიხედა:

— არაფერი ამბავია, მშვიდ[illegible] ხიფათი? ჰაი, თქვე ლაჩრებო! — წ[illegible] ამხანაგებზე და შეჰყო თავი სათაგურში. [illegible]: თავში არავინა სცემს და გვერდ[illegible]. რათ? რა სჭირს? არაფერი, სრულ[illegible] ძალიან კარგად შეიძლება შეექცეს ფი[illegible] ამხანაგებმა შორიდან უცქირონ და [illegible] ლებანს და ოდნავ მოავლო [illegible]. სრულიად დამშვიდდა. იმედი [illegible] დურება მას აქ არ მოელოდ[illegible] ლებანს. მაგრამ, აი სწორედ [illegible] და: სათაგური დასხლტა და [illegible] მული თაგვები გაფთხნენ. [illegible] და სათაგური. ფიცხელამაც [illegible]. მობრუნდა ფიცხლად და გა[illegible] ლად, მაგრამ ამაოდ: კარები [illegible] იყო დაკეტილი. ძალიან შე[illegible] კეტა. ამხანაგებისაკენ გადაა[illegible].

— ჰაი თქვე მოღალატენო, [illegible]

— გაიქცნენ, დაიმალნენ, რო[illegible].

— შეახტა მაღლა სათაგურ[illegible] იქით-აქეთ კედლებს, ჰყოფდა [illegible] და თათს, ღრღნიდა კბილით[illegible] ცდა. თანაც წრუწუნებდა. [illegible] ცოტა ხანს შეისვენა. ლებანი [illegible] თულზე; ვის მოაგონდებოდა [illegible] გაუძლო და შეუძახა თავის ამ[illegible] ნით, თქვე უნამუსოებო, აღარ [illegible] ინც მოდით, ანდერძი დავაბარ[illegible] მინდა გამოგესალმოთ, — თაგვ[illegible] ტყვა ფიცხელასი და ჩოჩქოლი [illegible].

— მართლაც, — ამბობდნენ[illegible] ლაჩრულად ვიქცევით, ეს ხომ [illegible] კაცს, საუკეთესო ვაჟკაცსა ვკარ[illegible] მზადნენ მისაშველებლად. ყველ[illegible] ცუნცულდა ფიცხელასთან ვიშ-ვ[illegible].

— მოგიკვდა ჩემი თავი, — [illegible] ცრემლებს იწმენდავდა თვალებ[illegible] ქვას ვახალო და როგორ გიშველ[illegible] გაფრთხილებდით! — მეტად [illegible] არ დაგვიჯერე. შენი თავიც დაა[illegible] და ცქმუნა გარედან თათს, ც[illegible] გურის მავთული.

— ნუ გეშინიანთ, ფიქრი [illegible] გამოვალ. ნუ ტირით! მოკვდეს [illegible] მიანს ხელში ჩაუვარდეს! და [illegible] მტერმა გაიხაროს, შენ გეუბნებ[illegible] ში რომ დიდი კაკალი დგას და [illegible] აქვს გაწვდილი, იქ ერთი ორმ[illegible] ამოიღე და მოიხმარე.

— შე გასახარელო, მაგის და[illegible] — უპასუხა ცქმუნამ, თუმცა ნათქვამ[illegible] დაიხსომა.

ამ დროს სხვა თაგვებიც მოვ[illegible] ყნენ გარს სათაგურს: ყველამ [illegible] აში დამწყვდეულს თანამოძმეს [illegible] ღალი ხმითა ტიროდა, მოსთქვამ[illegible] დნენ. თაგვების ზარი გაიმართა, [illegible] უტევდა, ამხნევებდა:

— ნუ ტირით, დანო და ძმა[illegible] ნაცვლო ვიყო; მაგრამ ჯერ კ[illegible] წყეულ საპყრობილეს, — სთქვა [illegible].

— საიდან და როგორ, მოგიკ[illegible] ლება! — უთხრა ფხორამ.

— სხვაფრივ თუ ვერა, ხეს გაჭრი კბილით, მაგრამ ეს ოხერი კბილი არ უდგება არსაიდან, — მაუწი ფიცხელამ.

დიდ ვაებაში და საგონებელში ჩაგორდა თაგვების გუნდი. ზოგნი ღიღილებდნენ და ღმერთს ევედრებოდნენ, დაეხსნა გაჭირვებიდან მათი თანამოძმე, სხვანი გარედან მარის მავთულებსა ღრღნიდნენ, ტკეცლად თავ-პირს იმტვრევდნენ გათავდა კარგად. უნდა წასულიყვნენ თავ-თავიანთ ბინაზედ, მაგრამ ფიცხელას მარტოდ-მარტო, უნუგეშოდ, უპატრონოდ დატოვება ეშმაკებისდა.

ამ დროს ნემსა მისდგომოდა ფიცხელას, ჰბაქავდა და საყვედურით ავსებდა.

— ჰეეე, ახია შენზედ! გეგონა შეგრჩებოდა, იმ დღეს რომ კაკალი მომტაცე და შეგეცი: ვერ ამოგშხამდა!... ვენაცვალე ღმერთს, შენი ჯაფრი რომ ამომყარა. გამობრძანდი, რაღა, თუ კაი ბიჭი ხარ, — ეუბნებოდა ნემსა ნიშნის მოგებით.

— გამოვიდე? მაშ შენ გგონია, სულ აქ ვიქნები? ვაი დედა-შენის ღმერთს, თუ გამოვიდი! მაშინ მიცნობ, რაგორი ფიცხელა ვარ: იქნებ შენი ქათიბის ბეწვი ნიადაგ აქეთ-იქით მიჰქონდეს. გიხარიან, რომ დავეწუდედე? მიიცა, ჯერ გავთავისუფლდე და მაშინ ჰნახავ შენს ხერხს! — ეუბნებოდა გაბრაზებული ფიცხელა. ცქმუნამ ყველაფერი მოითმინა და ნემსას თავში თათი ჩაჰკრა.

— განა ისეც დაეცა ფიცხელა, რო შენც მაგას ეუბნებოდე, შე წუპაკო, შენა! განა ეხლა დროა საყვედურისა? დაკარგე აქედან! — შეუტია ცქმუნამ. სხვა თაგვებიც ახვევ მოეპყრნენ ნემსას და გაიძეეს იქიდან.

თაგვები ბჭობდნენ, როგორ ეშველათ ფიცხელასთვის, როგორ დაეხსნათ იგი საპყრობილედან.

— ძმებო, აქხანაგები! — დაიძახა ბოლო ღრას კუდამ: — ნუ ძალიან კარგი, კარგზე კარგი ხერხი მოვიგონოთ თუ თქვენაც დამეთანხმებით, ჯერჯერობით და თუ არ გამოვდა, ჩამჭოლეთ.

— სთქვი და! თუ მოსაწონია, ჩვენც აქ მზადა ვართ, დაგეთანხმოთ, — სთქვეს თაგვებმა.

— მე, იცით, რასა ვფიქრობ, — განაგრძო კუდამ: — ეს რაღაც წყეული ბანაკია შემოგტაკა ამ ჩვენს სანადიროში შეშფოთებულმა ადამიანის ხელმა, რომელმაც შეიპყრო ჩვენი ძვირფასი ძმა და მეგობარი, სახელოვანი ფიცხელა, უნდა აქედან გადავკარგოთ! შევებნეთ ყველანი შიგ, შინ ავათრიოთ და იქ დავლეწოთ, დავამსხვრიოთ, რომ ერთი ნამცეცა ნაჭერიც არსად მოიპოვებოდეს მაგისა ამ მიდამოში, თორემ განა მარტო ამ ზარალს გვაკმარებს? ბევრ სხვას უმეცარს ჩვენი ტომისას იმსხვერპლებს ეგ მანქანა.

— მართალია, მართალი! ყოჩად კუდამ! — დაიგრიალეს თაგვებმა ერთხმად: — მშვენიერი აზრია, შვილიერად! — ფიცხელასაც ამ საუბარზე მეტი გული მოეცა და უფრო ნამაყად და მარდად დაიწყო სათაგურში სირბილი და ზედ ბღოტაილი. — აბა, შეუდგეთ საქმეს; დაგეთანხმა ხელს არ მოგვცემს: მოგვასწრობენ და ავს დღეს დაგვიწვენ. — თაგვები ერთად მიეტევნენ სათაგურს. იტლჭა ჩასჭიდა კბილი, კუდზე ცელქს ფხორა მოეხვია, ფხორას — კუდა, კუდას — ცქმუნა, იმას სხვა, იმას სხვა და გაეჭიმა გუთნეული ხარ-კამეჩებივით თაგვების გუნდი.

— აბა, გასწით, ბიჭებო, გასწით, თქვენს ღმერთს ვენაცვალე! — აქეზებდა შიგნიდან ფიცხელა! — დაიძრა, მივდივართ, შინ მივდივართ! — მართლაც, თაგვებმა ერთს გოჯზე გაათრიეს სათაგური და უფრო გაბნევდენ.

— ნუ გეშინიან, ძმაო ფიცხელავ! მოკვდეს ფხორა, თუ მტრის ხელში ჩაგაგდოს! — უთხრა ამან ფიცხელას, როცა თაგვებმა სულის მოსათქმელად შეისვენეს. — შეისვენეთ, დაისვენეთ, უფრო კარგად გასწევთ! — ეუბნებოდა თაგვებს ფხორა.

— ეს რა კარგი მოიგონა კუდამ, ვერ უყურებთ?! — ამბობდნენ თაგვები: — მეტის მოგონება შეუძლებელია!... კუდაც თავმოწონებულ ულვაშებს აცმაცუნებდა.

— მაშ თქვენ გეგონათ, მე თავში ბზე მიგრია? არა, ძმობილებო, მეც ჩემი ჭკუითა ვცხოვრობ! იცით, რა ოინები გამიწვია, სად გამძვრალვარ, სად გამომძვრალვარ, სად გადამბტარვარ?! მე ეს კუდი სათაგურმა არ მომაკვნიტა? ის სულ სხვანაირი იყო, მაგრამ გამოვუსხლტი მაინც ცოცხალი და დავიძარ. მას შემდეგ ე მაგისთანა ოჩხო-მაჩხო რაც შემეჯახება, მუდამ გზას ვუქცევ, ვერიდები. ან კი ძალად თავი რად უნდა გაიფუჭოს კაცმა! გიჟი ვარ, კაკლიანს, თხილიანს კოდში, ან გოდორში შევძვრე! რა ჭკუა იყო, რომ ერთი ლებანის ვულისათვის ფიცხელამ თავი გაიფუჭა?!

— თუ ჭკუა არ იყო, ვაჟკაცობა ხომ იყო? — სთქვა სათაგურიდან ფიცხელამ: — მაგის მეტი რა გვთქვეათ ან კი? ვაჟკაცის გული სულ სხვაა. თქვენ რა ვაჟკაცები ხართ მერე? სათაგური რომ დაბჭდა, თქვენ დაფრთხით: გეგონათ, უკან გამოვეცდებოდათ, მაგრამ უნდა გენახათ, მე როგორი ომი ავუტეხე და როგორ გადავკერე მაგოენები... მაგ!..

ის იყო გათენდა, როცა თაგვებმა სათაგური თავიანთ საძრომ-სათარეშო ხვრელთან მიათრიეს და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ წრიპინებდნენ, წრუწუნებდნენ, ამხნევებდნენ ერთიმეორეს, ბეჯითად გაეწიათ და ავთრიათ სათაგური, მაგრამ ვერაფერს სდებოდნენ: ვერ მოისაზრეს, რომ სათაგური ხვრელში არ გაეტეოდა, და მაინც თავებს აკლავდნენ.

IV.

მღვდელმა წირვა ჩვეულებრივზე ადრე გამოიყვანა: ასე თვრამეტი საათი იქნებოდა, რომ საყდრიდან ხალხი გამოიშალა. წირვაზე მხოლოდ ესტატე და მისი რძალი სოფიო იყვნენ. ეფემია კი სახლში მზარეულობდა, სტუმრებს მოელოდა. ჩვეულებისამებრ ამ საუფლო დღეს ძია ესტატე უსტუმროდ არ დადგებოდა. ეფემიამ ყველაფერი მოამზადა. ღვინოც ამოიღო ქვევრიდან დოქებში, და აგერ ესტატეც გამოჩნდა თავის სტუმრებიანად. წინ მღვდელი, მოხუცებული მაქსიმე მოდიოდა, წითელს ბზის ჯოხს მოიჯენდა, თვთრი წვერი გულმკერდზე სცემდა, გაჟინჟღილებული სახით მხიარულად მოლაპარაკობდა. იმას გვერდს მოსდევდა დიაკვანი, მასწავლებელი სპირიდონი, „ატსტავნოი“ კაპიტანი მიხეილი, რუს-ოსმალეთის ომისდროინდელი გმირი, რომელიც სოფლად ცხოვრობდა თავის მამულში და თავის სიცოცხლეს ატკბობდა, გუნებას იხალისებდა წარსულის მოგონებით, გლეხებთან თავის ვაჟკაცობაზე და გმირობაზე საუბრით. იმათ მოსდევდა რამდენიმე გლეხკაცი.

ეფემიამ, დაინახა რა მომავალი სტუმრები, მაშინვე შეუდგა სუფრის გაწყობას და გადაფინა ტახტზე გრძელი, ლურჯი სუფრა, დაალაგა პურები, დადგა შუა სუფრაზე ბლუდი, რომელზედაც ჯერ ისევ ორთქლი ასდიოდა აღმა ფეხებაშვერილ დედალს; ჩაამწკრივა ბოთლები, დაალაგა სხვადასხვა სანოვაგე. აგერ სტუმრებიც შემოკუჭნენ დერეფანში და აუტეხეს ფერხებს ბახმა-ბარხი: იყრიენებდენ ფეხსაცმელებიდან თოვლს და ტალახს.

— მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით, არაფერი უშავს: ნუ შეწუხდებით, იატაკი არ გაფუჭდება, — უთხრა სტუმრებს ეფემიამ, რომელიც წინ გაეგება და გულმოდგინედ ეპატეტებოდა სახლში.

— მოგვილოცნია დღესასწაული, დაესწარით მრავალს, მეუღლით, შვილებით! — ულოცავდენ სათითაოდ სტუმრები.

— გმადლობთ, თქვენიანად! — უპასუხებდა დიასახლისი და თან თავს უკრავდა ყველას.

— აბა, მზადა ხარ, ეფემია-ქალო?! — დაეკითხა ესტატე მეუღლეს: — გვშიან. აი, მამა მაქსიმე სულ მუდამ იმას გვიბრძანებს ხოლმე, პური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო, — დააბოლოვა სიცილით ძია ესტატემ.

— ღვთის მოწყალებით ყველაფერი მზად არის,—წარმოსთქვა ეფემიამ.

— ოღონდაც რომ ახარებს, — სთქვა მამა მაქსიმემ და ისევე გაიმეორეს სხვებმა. მიიპატიჟა ესტატემ სტუმრები სუფრაზე და ესენიც დალაგდნენ. ზოგნი მუთაქაზე მოკეცით, სხვანი ჩოკებზედ. არყით დაიწყეს. თამადობა ყველამ ესტატეს მიუღოლა, ჯერ ერთი — როგორც ნაკურთხს, საზოგადოების ამომრჩეველს, და მეორეც — როგორც მასპინძელს. ესტატე პირველად ყარზე იდგა. ბოლოს დასთანხმდა, გასდგა სხა-ჭაში. ძია ესტატემ პირველ სადღეგრძელოსთანავე მრავალგამოცრი მეტყველება.

თაგვები რალას შეჰკრებოდნენ?.. — ეწყინენ სათაგურს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, თან ადამიანებზე. იმათ ქნევაზე ბრაზობდნენ: ჩვენ ვტეხით, ვკვნეტ იმღერიანო. არაჩვეულებრივი ფეხების ფხაკური აუტეხეს, თან სხვადასხვა სუნი აბრაზებდათ. განჯინა, როგორც უწყით, იქვე ტახტის თავში იყო, ასე რომ ძია ესტატე განჯინის ძირითა პირს თავს ახვედრებდა. სტუმრები და მასპინძელი კარგად შეჯარხოშდენ.

— ქალო, ეფემიავ! — დაიძახა ესტატემ: — ამ განჯინაში რაღაც აბრავია.

— დამიდგა თვალი! — წარმოსთქვა ეფემიამ და ორი თითი მიიდო ტუჩზე გაკვირვების ნიშნად. — ფაცა-ფუცში სათაგური როდიდა მომაგონდა: უეჭველად თაგვი გაეპარებოდა, — წარმოთქვა ეფემიამ და გაემართა განჯინისაკენ.

— განა ერთი, დედაცა, აქ ისეთი ხმაურობაა, რომ ეშინება ახი ერთად დაგეჭრობით სათაგურს, — სთქვა ესტატემ.

— ხმაურობა დიდი ხანია იხმოდა, მაგრამ ყურადღება არ მიეპყრათ, — სთქვა მასწავლებელმა და სხვებმაც ეუმოწონეს.

ეფემიამ განჯინა მარდად გააღო; სათაგურს სწრაფად ხელი დაჰკრა. შიგ თაგვი შეეპინა, ხოლო სხვა თაგვები ვერ დაინახა, რადგან განჯინაში ბნელოდა. სათაგური გადმოიღო და აი საკვირველება! — მთელი აკიდო თაგვებისა თან გამოჰყვა: ცელქა, ფხორა, ცქმუნა, კუდა, ეცა, ბეცა და სხვანი მრავალნი. ამ სურათზე ყველამ თვალები სჭყიტა, ჭიქები ხელში გაუშეფდათ და პირიდან დაუწყეს ცქერა. თაგვები მაგრა ჩასჭიდებოდნენ ერთმანეთს ამხანაგის სამშველად, მაგრამ რადგან შველა აღარ შეიძლებოდა, უშვებს ხელი ერთმანეთს: ზოგი აქეთ ეცა, ზოგი იქით, ცელქამ ველდელს ღვინიანი ჭიქა დააცლევინა და ამანაც: „ჰაი, შე წყეულოვო“, მაყოლა თან; კუდა მასწავლებელსა გადახტა თავზე, ცქმუნა კაპიტან მიხეილს მაჯაზე ხელ გულზე და იმან ხმელისკენ წაიღო მტრის მოსაგერიებლად ხელი ჩვეულებისამებრ, მაგრამ ამ დროს ხელ არ შეჰრა; ფხორა მასწავლებლის წვერან ჯაჭვში ეცა და სულ დაიბუგა ფეხები. ბეცა თვალ-პირში ეცა დასავალს, რომელსაც გზირი სოსია სთავაზობდა გამოხრულ ძეღეს, მაგრამ იმან, თითქოს აქ არაფერიაო, ყურიც არ გაიბერტყა.

ასტყდა სახლში აურზაური: „ჰაი, თქვე წყეულებო!“, „დაგწყევლოთ ღმერთმა!“ ვაჰ, რა ამბავია?“ — გაისმოდა აქეთ-იქიდან. ქეიფის ნირი გაუფუჭეს თაგვებმა. თუმცა ეცინებოდათ სტუმრებს, მაგრამ თანაც სწყინდათ: მახარხარად გეიგდებენ, თუ რა არისო! თაგვებმა თავს უშველეს; დარჩათ ხელში მარტო ფიცხელა, და მოინდომეს იმაზე ჯავრის ამოყრა. მოითხოვეს სადგისი, უნდა დაეწნელიტათ. ეფემია ყველაზე მეტად ბრაზობდა. ფიცხელა აღარ იძრებოდა, გათიხრებული დახლიდან ამაღლებდა საბრალოდ თავლებს. გადწყვეტილი ჰქონდა თავისი ბედი. „აჰა, რაზ-ბინაო“ გადეტრიალა თვალები მიხეილმა. ყველა იმ აზრზე დადგა, რომ დაეწნელიტათ ფიცხელა, ოღონდ სათაგურის გამოწვილი გმირი, და ისიც ცელქისათვეისა, მუხლმოკეცილი მოელოდა საყდელს. დაუპირეს ფიცხელას მოკვლა, დაწვნელება, წამება, მაგრამ მეგარკელად ესტატე დაუდგა.

— არა, ბატონებო, მე, როგორც თამადა, ვთაყვისუფლებ მაგ თაგვს, რადგან დღეს საუფლო დღეა და კეც თავიც ალბათ რითიმე შესანიშნავია, რომ თავის თანამოძმეთა თანაგრძნობა მოუპოვებია. ხომ ნახეთ, როგორ ეწეველებოდნენ თაგვები და უნდოდათ მისი გათავისუფლება. უნდა გავათავისუფლოთ! ზოგი ღვთის გულისთვის, ზოგიც მე მისათრეთ! — რა გაეწყობოდა, დაეთანხმნენ ძალაუნებურად ესტატეს, და ეფემიამ ფიცხელა სათაგურიდან გაუშვა გარეთ თოვლში, რომ ეცხო იქ მაინც მომკვდარაყო. ფიცხელა ფხაჭა-ფხუჭით გარბოდა, თოვლისას ბუჭს აყენებდა და გამალებული ეცა ბეღელის ქვეშ... როგორ უხაროდა! ახლა რას ეტყოდა თავის ამხანაგებს, რამდენს ტყუილს შეკხანხლავდა!...

სტუმრები ჰკვირობდნენ თაგვების ამგვარ ერთმანეთისადმი შებრალებას და თანავრძნობას. მასწავლებელმა ეს განმარტა და რამდენიმე მაგალითი მოუყვანა ფრინველებისა და ცხოველების ცხოვრებიდან...

ქეიფი განახლდა. ესტატე განაგრძობდა სადღეგრძელოებს; თაგვები დაეძებდნენ ერთიმეორეს...

როცა ესტატემ და მისმა სტუმრებმა გაათავეს ქეიფი, თაგვებმა სწორედ მაშინ დაიწყეს. შეიყარნენ საღამოზე ერთად, დაჰკრეს დაფს, დოლს, დაირას, დუდუკს, ზურნას; ლეკურს თამაშობდენ, მღეროდენ. ფიცხელას ცაში ისროდენ, ხელზე იქორჭორებდენ; ეს უკანასკნელი ბაიათებს ამბობდა, ამაყად გამოიცქირებოდა, გამარჯვების დღესასწაულობდა.

1908 წელი.



იური ქლიბაძის ნახატი

ასკილი ფქლი ფშაქვში

(ნაწყვეტი)

კმაყოფილია თვით მეკვლე,
რომ კაი კვალი ჰქონია;
დიასახლისსაც უხარის, —
ღმერთი თავის შინ ჰგონია.
მეკვლე მიჰბიჯავს დარბაზში,
თან ამას ამბობს მტკიცედა:
„ფეხი ჩემი და კვალი ღვთის!“
ღიმილიც მოსდის პირზედა:
„ახალმა წელმა ახალი,
ვთხოვ უფალს, მოგცეთ ბედია, —
ცხვარი და ძროხა ურიცხვი,
დოვლათი მეტის-მეტია!
შენ იყავ, ღმერთო, გამგონე,
რაც ახლა დავიყბედია!“
აბერებს ყვილას თაფლითა,
თხილს აძლევს... დასაკენტია.

„სამშობლოს" პანორამა

სამშობლოს პანორამა

პირველი ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „დედის ხელი" (რეჟისორი მერაბ ჯალიაშვილი), ის მადლიანი დედის ხელია, რომელმაც 1958 წელს სათავე დაუდო საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიას. მაშინ სამიოდე წევრისაგან შემდგარ კინოჯგუფს ჰქონდა ერთადერთი კინოკამერა და უდიდესი ენთუზიაზმი. სწორედ ამ ენთუზიაზმის წყალობით, იმ შემოქმედთა ინიციატივითა და მონდომებით, რომლებიც საქართველოს ტელევიზიაში იღვწოდნენ და შექმნეს პირველი ქართული სატელევიზიო ფილმები, ჩაეყარა საფუძველი სტუდიის არსებობას, რომელიც როგორც დამოუკიდებელი სტუდია 1968 წლის 4 იანვარს დაარსდა. სტუდიაში თავი მოიყარეს გამოცდილმა კინომუშაკებმა, ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებმა, მათ თან მოიტანეს ახალი ხედვა, ახალი ძალა, შემოქმედებითი ძიება, გაბედული ნაბიჯები, ყოველივე ეს გახდა იმ წარმატებების საწინდარი, რომლებიც ამ ახალგაზრდა კოლექტივმა მოიპოვა თავისი არსებობის ხანმოკლე დროში. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კინემატოგრაფიაში პირველი უმაღლესი ჯილდო — რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა ამ სტუდიის ფილმებმა — „რუსთაველის ნაკვალევზე" და „შორია გურჯისტანამდე" (ორივე ფილმის რეჟისორია გურამ პატარაია).

— მაინც რითი აიხსნება თქვენი სტუდიის ესოდენ დიდი წარმატებები? შევეკითხე საქართველოს ტელეფილმების სტუდიის დირექტორს, მწერალ ილია რურუას.

—ჩვენი სატელევიზიო ფილმების თითქმის ყველა სიუჟეტი თანამედროვეობით სუნთქავს, მათში მოცემულია დღევანდელი ყოფა, დადებითი და უარყოფითი. სატელევიზიო ფილმებს აერთიანებს ჰუმანიზმი, მაღალი მოქალაქეობრიობა, ქართული სული და ხასიათი, და, რაც მთავარია, ზომიერება, რეჟისორთა დახვეწილი გემოვნება და ოსტატობა, თემატური მრავალფეროვნება.

— ჩვენი სტუდია, —განაგრძობს ბატონი ილია, — მრავლისმომცველია. აქ კეთდება მხატვრული, ქრონიკალურ-დოკუმენტური, მუსიკალური, სამეცნიერო-პოპულარული, თოჯინური ფილმები. ჩვენმა სტუდიამ უდიდესი საქმე იკისრა და წარმატებით დააგვირგვინა—დაამთავრა 12 სრულმეტრაჟიანი ფილმი „საბჭოთა საქართველოს მატიანე", რაც საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს მიუძღვნა.

წარმატებით დამთავრდა აგრეთვე პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის — „მყუდრო სავანე" გადაღება (სერგო კლდიაშვილის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. რეჟისორი კარლო ღლონტი).

—არ ყოფილა შემთხვევა,— შემოგვიერთდა საუბარში სტუდიის მთავარი რედაქტორი ამირან ჭიჭინაძე, — სტუდიაში შექმნილ ფილმებს მონაწილეობა რომ არ მიეღოს საკავშირო თუ საერთაშორისო ფესტივალებზე და საგანგებო ყურადღებისა თუ აღნიშვნის გარეშე დარჩენილიყოს. ჩვენს ფილმებს დღემდე 30-მდე პრიზი აქვს მიღებული. ობერჰაუზენის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე სატელევიზიო მხატვრულმა ფილმმა „ქორწილი" (რეჟისორი მიხეილ კობახიძე) სამი პრიზი მიიღო.

ოთხი წლის მანძილზე

ავსტრალიაში ტელეფილმების II საერთაშორისო ფესტივალზე მხატვრულმა ფილმმა „სერენადამ" მოიპოვა ვერცხლის პრიზი — „სამხრეთის ჯვრის თანავარსკვლავედი".

შვეიცარიაში ალპური ფილმების ფესტივალზე ფილმმა „დარიალის ჩანახატები" (რეჟისორი ბუბა ხოტივარი) მთავარი პრიზი დაიმსახურა.

იტალიაში სპორტული ფილმების ფესტივალზე დოკუმენტური ფილმი „ფეხბურთი უბურთოდ" (რეჟისორები ლერი სიხარულიძე, გელა კანდელაკი) ასევე მთავარი პრიზით დაჯილდოვდა.

აი, რას ამბობს ამ ფილმის შესახებ სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელი ცნობილი კინორეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი რევაზ ჩხეიძე:

—სათაური „ფეხბურთი უბურთოდ" ცოტა უცნაურად ჟღერს. ნუთუ ფეხბურთის თამაში შეიძლება უბურთოდ! ასეთი იყო ჩემი პირველი რეაქცია, როდესაც ამ ფილმის ავტორებმა თავიანთი ჩანაფიქრი გამიზიარეს. გამოგიტყდებით, გავიფიქრე, ჩვენს ახალგაზრდა მეგობრებს სურთ ორიგინალურნი იყვნენ-მეთქი, მაგრამ ეს შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა. მათ გადაწყვიტეს ამ ფილმში ეჩვენებინათ სპორტსმენის რთული და დაძაბული შრომა. ეჩვენებინათ ის, რასაც ვერ ხედავს მაყურებელი სტადიონზე. ეს ჭკვიანურად გააზრებული ფილმი სპორტსმენთა განცდის მონაწილეს გვხდის. ფილმის ავტორებმა გვიჩვენეს, თუ რას აკეთებს თითოეული ფეხბურთელი მოედანზე, როგორ იქცევა იგი, როგორ განიცდის წარმატებასა თუ წარუმატებლობას. ჩანაფიქრის შესრულება კარგად შეძლეს ახალგაზრდა რეჟისორებმა.

სტუდიამ დიდი სასარგებლო საქმე წამოიწყო, რეჟისორმა იოსებ ჩხაიძემ გადაიღო ფილმი — „ქართული საგალობლები", რომელშიც კვლავ ახმიანა მიქაელ მოდრეკილისა და დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე ტექსტები. სტუდიის პროგრამაშია ფილმის გადაღება ძველი წარმართული პერიოდის მუსიკალური ძეგლების შესახებ, რითაც შთამომავლობას შემოვუნახავთ ჩვენს უნიკალურ მუსიკალურ საგანძურს.

საკავშირო სატელევიზიო ფილმების ფესტივალებზე მრავალი სატელევიზიო ფილმი აღინიშნა პრიზით. მათ შორის „მზიანეთი" (რეჟისორი ლია ელიავა), „ქვევრი" (რეჟისორი ირაკლი კვირიკაძე), „კედელი" (რეჟისორი ალეკო ნინუა), „ხაბაზები" (რეჟისორი ბიძინა რაჭველიშვილი), „მე თვითონ" (რეჟისორი სერგო ევლახიშვილი), „ძველი თბილისის მოტივები" (რეჟისორი ლერი სიხარულიძე), „ორერა", სრული ხვლით" (რეჟისორი ზაალ კაკაბაძე) და სხვები.

ამჟამად ეს ნიჭიერი კოლექტივი მრავალ საინტერესო ფილმს ამზადებს. ზაალ კაკაბაძე იღებს სრულმეტრაჟიან მუსიკალურ ფილმს „მოლანდება". სცენარი ეკუთვნის ილია რურუას.

დიმიტრი ბათიაშვილი ამზადებს სრულმეტრაჟიან ფილმს „სერგო ზაქარიაძე", იგი აერთიანებს სერგო ზაქარიაძეს როგორც პიროვნებას, მოქალაქეს, მსახიობს ერთ სახეში. ლერი სიხარულიძე იღებს ფილმს „უსასრულობა, ბუბა ხოტივარი სრულმეტრაჟიან ფერად მხატვრულ ფილმს „ლაზარე".

თენგიზ ნოზაძე აკეთებს ფილმს „მიხეილ ხერგიანი". მომავალი გეგმები კი მეტად მრავალფეროვანია და სიურპრიზებით აღსავსე.

ვუსურვოთ ამ ნიჭიერ ახალგაზრდა კოლექტივს მომავალი, 1972 წელი ხვავიანი ყოფილიყოს მათთვის...

ნადია მეგალიშვილი

საპატიო ჯილდო

შესრულდა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობის 20 წელი. ამ თარიღთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის დარგში აქტიური მონაწილეობისა და მოპოვებული წარმატებებისათვის საპატიო სიგელებითა და საიუბილეო ნიშნებით დაჯილდოებული არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი აკადემიკოსი ილია ვეკუა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი რაფიელ დვალი.

აკადემიკოსი ილია ვეკუა არჩეულია გერმანიის ბერლინის მეცნიერებათა აკადემიისა და ჰალეს ლეოპოლდინის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად. მას არაერთხელ წაუკითხავს ლექციები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მჭიდრო მეცნიერული ურთიერთობა აქვს ჰალეს უნივერსიტეტთან და ვაიმარის არქიტექტურისა და მშენებლობის ინსტიტუტთან. აკადემიკოსი ილია ვეკუა ტექნიკაში მათემატიკის გამოყენების საკითხთა კონგრესის მუდმივი მონაწილეა. ეს კონგრესი ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა ვაიმარში. ილია ვეკუა თბილისისა და იენის უნივერსიტეტებს შორის მეცნიერული და კულტურული თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების ინიციატორია.

გერმანიის ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი რაფიელ დვალი. ამის გარდა, ქართველი მეცნიერი დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია. რაფიელ დვალს მრავალჯერ წაუკითხავს ლექცია დრეზდენის ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ბერლინის მექანიკის ინსტიტუტში. მეცნიერს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კოლეგებთან მჭიდრო კავშირი აქვს აგრეთვე იმ კათედრის ხაზით, რომელსაც იგი სათავეში უდგას საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მაგალითად, ქართველმა სტუდენტებმა საწარმოო პრაქტიკა გაიარეს დრეზდენის ტექნიკურ უნივერსიტეტში.

საშობაო საჩუქარი

1959 წლის მიწურულია. ჩვენ, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში ვმართავთ კონცერტებს. ზამთრის სუსხიანი ამინდი დგას. ქალაქში საზეიმო, წინასაახალწლო განწყობილება სუფევს. ქუჩები და მოედნები ნაირ-ნაირი ფერებით არის მორთულ-მოკაზმული, ჩვეულებრივზე უფრო გაცხოველებული მოძრაობაა. მაღაზიების ვიტრინები მდიდრულად არის გაფორმებული და თვალისმომჭრელად ბრწყინავენ. ფერად-ფერადი ნათურებით გაჩირაღდნებული ბრიუსელი უზარმაზარ, მოძრავ ზღაპრულ საახალწლო ნაძვისხესა ჰგავს. დიდი და პატარა ყველა ქუჩაში გამოფენილა, სადღაც გარბიან, ისწრაფვიან, ჩქარობენ, რათა შეიძინონ საშობაო საჩუქრები მეგობრებისათვის, საყვარელი ადამიანებისათვის...

...ქალაქის ცენტრში, საკონცერტო დარბაზ „პალე დე ბოზარის" სცენაზე ქართველ მთიელთა „ხანჯლური" ბობოქრობს. მაყურებელი გაოგნებული შესცქერის, თუ როგორ ფრინავენ სცენაზე შვინდისფერჩოხიანი შავნაბდიანი მოცეკვავენი, როგორ ელავენ ჰაერში ბასრი ხანჯლები... ცეკვა დასასრულს უახლოვდება. უკანასკნელი აკორდისათვის მოქნეული ხანჯალი ანაზდად სხლტება გალიპული სცენის იატაკიდან და მაყურებლისკენ მიფრინავს...

შეწუხებულმა თვალი გავაყოლე. პარტერის პირველ რიგში ცისფერთვალება ქალიშვილს წავაწყდი. იგი აღელვებული დგება სავარძლიდან, შიშნარევად იღიმება და ფერდაკარგული უკან მიბრუნებს ხანჯალს მარცხენა ფეხზე, მუხლსზევით სისხლი მოჟონავს...

...გარეთ გამოვდივარ. თეატრის ფოიეში უამრავი ხალხი ირევა. მე ცისფერთვალება გოგონას ვეძებ, ჩემდა უნებლიეთ ხანჯლით რომ დავჭერი. ქუჩაში გასასვლელ კართან დგას. შორიდანვე მიცნო. მივუახლოვდი, მივესალმე. თვალებში შემომხედა და გამიღიმა.

— სუზანა, — მეუბნება თავის სახელს.

მეც ვეცნობი და შეწუხებული სახით ბოდიშს ვუხდი მომხდარი ინციდენტის გამო.

— ნუ სწუხართ, — მეუბნება, — აი შეხედეთ, — და მიჩვენებს ფეხს მუხლსზევით, სადაც პატარა ჭრილობა უჩანს, — ეს თქვენგან ყველაზე ძვირფასი საშობაო საჩუქარი იქნება ჩემთვის. მე კი თქვენ არასდროს დამავიწყდებით, და დიდი ცისფერი თვალები სიხარულით უბრწყინავს...

...მე მას იმ საბედისწერო თუ საბედნიერო ხანჯალს ვაძლევ საჩუქრად, რომლითაც პატარა ჭრილობა დავუტოვე სამუდამოდ, მოსაგონებლად...

თენგიზ უთმელიძე,
ბრიუსელი, 1959 წელი,
31 დეკემბერი.

„სამშობლოს" პანორამა

დ ე ბ ი
იშხნე-
ლ ე ბ ი

დღეროდნენ.. გიტარის სიმები ეულად ბუღბუღებივით მოთქვამდნენ, გალობდნენ, კვნესოდნენ. მღეროდნენ დები იშხნელები, თვითონაც ტკბებოდნენ და მსმენელსაც ატკბობდნენ. რა ენამთქვას, რამდენი კდემამოსილება და სინაზე გამოჰკრთოდა მათ ხმებში. ხმები ცვლიდნენ და ავსებდნენ ერთმანეთს. ლაღად ექსოვებოდნენ ლამაზ სიმღერებს, სიმღერებს, ბალხი რომ იტაცებდა.

შაქარია ფალიაშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის ქუთაისმა ადრევე იშხნელები. მუსიკალური ოჯახი მთელი ქალაქისათვის იყო ცნობილი. მღეროდა დედა, მამა, მღეროდა 10 შვილი(!). დედა აკვნესებდა გიტარას, ბავშვები თვითებდნენ საოცარ პანგებს, სიცოცხლის ნექტარივით ეწაფებოდნენ ლამაზ მელოდიებს. დედამ ასწავლა სიმღერა. ამიტომ თუ არის მათი ხმები ლამაზი, ამიტომ თუ არის მათი სიმღერები მშობლიური.

სიმღერა ანდამატივით იზიდავს ყველას. მათ ოჯახში ხშირად იყრიდნენ თავს ქართველი პოეტები, ქუთაისის საზოგადო მოღვაწენი. ამ მრავალრიცხოვანი მუსიკალური ოჯახის სასურველი სტუმარი ყოფილა დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი. გალაკტიონ ტაბიძე „სულის სიმშვიდეს" მათ გულისმწვდომ სიმღერებში ეძებდა, ქართული სიმღერის დედაბოძი — ვანო სარაჯიშვილიც არაერთხელ სწვევიათ თურმე.

ნიჭიერი მომღერლები, რაღა თქმა უნდა, პირველად ქუთაისმა გაიცნო. 1909 წლის ერთ საღამოს ჯ-ჯრაც ბავშვებმა შესრულეს რამდენიმე სიმღერა. პირველ გამოსვლას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და მალე მათ ნიჭს ფრთა შეესხა.

1914 წელს დებმა გალაკტიონ ტაბიძის საღამოზე შეასრულეს „ციცინათელა", „სულიკო". მსმენელები აღაფრთოვანა თამარის მიერ გალაკტიონის ტექსტის მიხედვით დამუშავებული სიმღერის „სხვა ყველაფერის" გალობამ. გალაკტიონმა მომღერლებს საჩუქრად თავისი ლექსების კრებული „ჩანგი" მიუძღვნა. ცოტა ხნის შემდეგ თამარმა ამ კრებულიდან შეარჩია რამდენიმე ლექსი და სიმღერის ენით ამოკვნესვა. „კომპოზიტორიც მე ვიყავი, ლოტბარიც და რეპერტუარსაც მე ვადგენდი", — იგონებს ქალბატონი თამარი.

ოჯახიანი წლებისათვის იშხნელების ოჯახი თბილისში სახლდება. დედაქალაქმა ქუთაისელი ბულბულები შეიჯიბლბორცა.

„მაისის ღამის მთვარის ჩრდილები,
ჭადრის ტოტებში გახლართულიყო,
მე კი ვისმენდი დამორჩილებით
იშხნელთა გუნდის მკვნესარ
„სულიკოს", — წერდა სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძე იშხნელთადმი მიძღვნილ ლექსში — „მთვარის ჩრდილები".

ხუთი და მღეროდა. „სულიკო", „სამშობლოს სიყვარული", „ვიბილე სატრფო", „ტურფაჲ ტურფავ", „ციცინათელა" — გულში ჩაწვდებოდა, სმენას გვიტკბობდა.

დიდი სამამულო ომის დროს მრავალი მებრძოლისათვის იშხნელთა სიმღერა ნამდვილი საბრძოლო ნაღარა იყო. სიყვარულით ინახავს თამარ იშხნელი ფრონტიდან მიღებულ წერილებს, მადლობას რომ უძღვნიან ჭართველ ბულბულებს. „თქვენმა სიმღერებმა უფრო მეტად აღმაშთო მტრის სიძულვილით, გამიცხოველა სამშობლოს სიყვარული". ერთ-ერთ წერილში მებრძოლი შანიძის მიერ გამოგზავნილი ლექსიც — „სიმღერა გმირზე" — იყო, რომელსაც თამარმა მუსიკა შეუწყო.

ჭართულმა მიწამ ვერ დაიტია მათი სიმღერა. სამშობლოს გარეთაც სიყვარული დაანთეს დებმა.

1957 წელს იშხნელებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭათ.

მღეროდნენ დები. სიმღერებში თმა დაუთოვა წლებმა. სიმღერებში დალიეს სული ნინომ, ზინამ, მარიამმა, ალექსანდრამ... თამარი დარჩა ჯერჯერობით ცოცხალ, გიტარით ხელში, ძაძით მოსილი...

აღარ გვეგონა, თუ კვლავ გავიგონებდით თამარ იშხნელის ხმას. მაგრამ ეკრანებიდან ტელევიზორით კვლავ მოვუსმინეთ მას. თურმე დარდიც კი ვერ დაადუმებს ტკბილად მომღერალს!

„მღერიან დები იშხნელები" — დღესაც ხშირად გაიგონებთ რადიოში...

მანანა დოლენჯაშვილი

საახალწლო სიმღერა

საახალწლოდ გაიმალა
საზეიმო დიდი სუფრა,
რომ კეთილმა მეზობელმა
ტკბილ მასპინძელს სიტყვა უთხრას.
შუაღამე ახლოვდება,
განა ვინმეს ეძინება,
პირდაღებულ გოჭის თავსაც
ნეტავი რა ეცინება,
ბურგაკის ხორცს ირთქლი ასდის,
შოთი პური გაწოლილა,
პატარებიც ოცნებობენ:
— როდის მოვა ნეტავ დილა! —
ბურჭყალებენ, ფუსფუსებენ,
თუმცა არის უკვე გვიან,
ნაძვის ხესთან ტრიალებენ
მიხო, მზია, ნატო, გია.
აკიდი და ბრინწკული
შემობრძანდნენ რა ხანია,
ვამლი, წაბლი თუ კაკალი
სულელანი აქ არიან.
მანდარინიც იჭყიტება,
სტუმარს ელის სუფრა ლაღი,
სტუმარს ელის მასპინძელი
ჩურჩხელა და გოზინაყი.
შუაღამემ მოაღწია
ბერიკაცი ეზოს გასცდა,
კარი ფართოდ შემოაღო,
ყანწს დიმილით ხელი სტაცა:
— მოგილოცავთ, ყველას, ყველას,
კომბაინერს, მწყემსს, მცველს,
ამ ახალ წელს გულით გეთაყვა
მეჩაიეს, მეფუტკრეს,
თქვენს მარჯვენას და თქვენს სახელს
აქებს ყველა.
მოგილოცავთ, ყველას, ყველას,
მებაღეს თუ მესიმინდეს,
ვინც რომ უხვი მოსავლისთვის
შრომობს, ღელავს.
სავსე ბეღლებს, სავსე ქვევრებს, სავსე ოჯახს,
კვლავ სიუხვე, ამას რა სჯობს,
თქვენს ამაგს და თქვენს მარჯვენას გაუმარჯოს!
ზამთარია, მიუსხედით სახლში თუ ხართ
ზოგი სუფრას, ზოგიც ბუხარს.
დაილოცეთ ეშხით, ლხინით,
აგაშენოთ პურით, ღვინით.
ხელთ ასწიოთ ჭიქა, როცა
თქვენც შესძახეთ: — მეგობრებო,
ახალი წლის გათენებას მოგილოცავთ! —
დალია და მასპინძელთან
გადავიდა ალავერდი:
— მხიარულო მასპინძელო,
დამილიე, აბა ერთი! —
მასპინძელი დაილოცა,
სიტყვა უთხრა ქვეყნის ერთგულს:
— ჭართველებო, დამიბერდით,
ვით სითეთრე შვენის თეთნულდს,
მოგილოცავთ, გაგვიმრავლდით,
გადღეგრძელებთ ყანწით, ჭიქით,
ვინც სამშობლოს ასახელებს
საზღვრის შიგნით, — საზღვრის იქით.
ჩემი მხარე ვერასოდეს
მტერმა ვეღარ გადათელოს,
სიცოცხლე და გამარჯვება
ახალი წლის საქართველოს!

კუკური გოგიაშვილი



— ეს ზამთარი უხვი დავიწყოთ,
ერთი საათით ჩამორჩება.

გიგლა ფირცხალავას ნახატი

უკვდავებასთან მიყვანილ...



ვამონენილი კინორეჟისორი ეიზენშტეინი ერთ-ერთ სტატიაში წერდა: „მიხეილ ჭიაურელი უკირველესად გიყვარს, შემდეგ შიძრობ, რომ ის კარგი მსატვარია, საუკეთესო ოსტატი, აქეთებს შესანიშნავ სურათებს, გონებამახვილი კაცია"...

დიახ, მატონი მიხეილი, დიდი ხელოვანი, უბადლო ოსტატი, კაცი, რომელმაც ეკრანზე გააცოცხლა გიორგი სააკაძე და არსენა, შემოქმედი, რომელმაც გადაიღო „ბერლინის დაცემა" და „ფიცი", უპირველესად გიყვარს, შემდეგ კი ქედს იხრი მისი შემოქმედების წინაშე და რაც დრო გადის, მით უფრო რწმუნდები, რომ ქვეყნად ვერავინ გადაიღებდა მიხეილ ჭიაურელზე უკეთ „გიორგი სააკაძეს", „არსენას", „ფიცს"...

ამ ტკბილმოუბარ კაცთან შეხვედრა ყოველთვის გმატებს რაღაც ახალს. ლამის 80 წელს მიღწეული ბატონი მიხეილი — ქართული კინოს ბამბასაური, — მართალია, კვლავ შემოქმედებითი ენერგიით არის საჯაჯ, მაგრამ მოკრძალებასაც ხშირად ეძლევა და ისე გატაცებით ჰყვება გახცდილსა და ნახახს, რომ ფიქრობ — ნეტავი იმას, ვინც ესეთი ლამაზი, ესეთი საინტერესო ცხოვრება გაატარა.

„ო-ო! მაშინ სულ ახალგაზრდა ვიყავი, ბერლინში სასწავლებლად გაგზავნილს ათასი ლამაზი ფიქრი და ათჯერ მეტი ლამაზი ოცნება მიტრიალებდა თავში, გვერდს კი ახჯაფარიძის ქალი მიმშვენებდა. ყოველი საათი, ყოველი დღე სწავლასა და ახლის ძიებაში ილეოდა, მაგრამ აქა-იქ მაინც გამოერეოდა ხოლმე საქმისაგან მოცლილი წუთები და მაშინ, მოგეცათ ლხენა, დროს ისე ვატარებდით, როგორც ქართველ კაცს შეშვენის...

მეგობრებთან ერთად რესტორანში სავახშმოდ შესულს წაღიღინება მომიხდა, ეხლა ერთი კარგი სიმღერა ურიგო არ იქნება მეთქი; ერთ-ერთი სუფრის წვერი იქვე მიუჯდა როიალს, მეც ყელი მოვიღერე" — და .. ბატონმა მიხეილმა ახალგაზრდობაში ბერლინის რესტორანში საკუთარი გულის საამებლად ნათქამი სიმღერა დღეს ჩემთვის იმღერა.

ოთახში შემორბის შვილიშვილი. ამღერებული პაპის ყურება როდი აკვირვებს, უბრალოდ, კიდევ ერთხელ უნდა მოუსმინოს ადამიანს, რომელიც ყველაზე მეტად უყვარს ქვეყნად. ჭალბატონ ვერიკოს კი სახე ღიმილით ეფსება. მოგონებაში ცოცხლდებიან ტკბილად გატარებული ის წუთები.

„იცით, კინო რომ არა, აუცილებლად მომღერალი ვიქნებოდი. მე ლა სკალაშიც მიმღერია", — და ბატონი მიხეილი თაკისი ცხოვრების კიდევ ერთ ეპიზოდს მიყვება.

„1946 წელს ვენეციაში გამართულ კინოფესტივალზე ჩემი ფილმი „ფიცი" პირველი პრემიით დაჯილდოვდა. იტალიამ გულთბილად მიგვიღო საბჭოთა სტუმრები. მხატვრობისა და ჭახდაკების თავდავიწყებით თაყვანისმცემლობა ამ საოცარი ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭული მოვიარე. რა თქმა უნდა, ლა სკალაშიც ვიყავი.

— ალბათ, ჩინებული რეპონანსი აქვს თქვენს თვატრს, — ვეუთხარი მასპინძელს, ლა სკალას დირექტორს. თუ სიმღერა ოდხაჟ მაინც შეგიძლიათ, იმღერეთ და თვითონ დარწმუნდებით მის ავ-კარგიანობაშიო. სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, ეხრიკოს არია წამოვიწყე. მასაიხლებმა ხუმრობით კოხტრაქტიც კი შეთხზეთავაზეს...

ცხოვრებას თავიდან რომ ვიწყებდე, როგორც წელან მოგახსენეთ, აუცილებლად მოღერალი გავხდებოდი, თუმცა, ვის იცის, — გახა ჭახდაკების ხალვაგად ვეთაყვანებით!... მაგრამ არა რაცა ვის რა ბედძან მისცეს — კინოს ღალატი არ შემიძლია, ათი სიცოცხლეც რომ მქონდეს, ათივეს კინოს ყუფენტაშებდი"...

ვუსმენ კინოს დიდოსტატის გულიდან ამოსულ სიტყვებს და ჭემმარიტად ვგრძნობ, სად ფუძეს ძარღვი ჭიაურელის „გიორგი სააკაძისა", „არსენასი", „ბერლინის დაცემის"...

„იტალიაზე მოგახსენებდით, ამდენი ვისიამოვნე, ამდენი ვნახე და გავიცადე, მაგრამ მით ვაიხე უკმაყოფილო დავბრუნდი. ჩემი გაკხობა თვით ტრტო რუფამ ძოისურვა, ერთმანეთს კი ვერა და ვერ შეეგუდით. ისეთი სახელმოხვეჭილი მომღერლის გაცხობა, დამეთანხმებით, ბევრ რამეს ღირდა!"...

ვკითხე — ბატონო მიხეილ, მხატვრულ ფილმს რად გაემიჯნეთ, მულტიპლიკაციურ ფილმებს რატომ სჯერდებით-მეთქი? „ტკუილია, სწორად ვერ მოსულა შეხმდე ამმაყიო... ეს დროებით იყო, დისნეის ხელოვნებასაც გავუდე სარკი, „კივიძის" გადასაღებად ვემზადები, მერე კი ფრთას შევასხამ ჩემს ულამაზეს ოცნებას — „ბესიკს" გადავიღებ...

საუბარს კი ბოლო არ უჩანს. მე, რა თქმა უნდა, არა ვჩქარობ, მასპინძელიც მოგონებას აჰყვა... მერე რატომღაც ჩაფიქრდა და მკითხა — ვიხახავს, როგორ ემზადება ზეიმისათვის მოსკოვი? — თან პასუხს არ დაუცადა, ისე გახაგრძო, ზუსტად ეს მკითხა ტელეფოხით სტალინმა 1946 წელს პირველი მაისის წინა საღამოს, და როცა ვუთხარი, არა-მეთქი, შემომთავაზა: — მოდი, ჩემი მანქანით გაგისეირხოთო მოსკოვის ქუჩებში". გვიანი ღამე იყო, მოსკოვს კი არ ეძინა. დიდი თუ პატარა გარეთ გამოსულიყო, გამარჯვების პირველ მაისს ფეხზე ამდგარი ხვდებოდა. მახსოხა, რომელშიც სტალინი და მე ვისხედით, ხელი სვლით ძიერწყდა წინ. უმაღლესი მთავარსარდლის სახეს ღიმილი არ შორდებოდა...

● ბატონო მიხეილ, რას განიცდით, როცა თქვენს ფილმებს უყურებთ?

— პირველ რიგში დიდ გულისტკივილს... იმ შესანიშნავ მსახიობთაგან, რომლებსაც მე ვიღებდი, დღეს ბევრი ცოცხალი აღარ არის. მათი ცქერა თვალს მიწყვავს, ცრემლით მივსებს. ისე კი, ბატონო, რა გითხრათ, განა შეუძლია ახსნას მშობელმა, რას განიცდის, როცა ხალხის სამსახურში ჩამდგარ შვილს შეესწრება!

ღიახ, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ მიხეილ ჭიაურელის ფილმები ხალხის სამსახურშია და იმ ადამიანების სიყვარულით არის შეჭმხილი, რომელნიც სიყვარულითვე ულოცავენ ჩვენი კინოს მხცოვან დიდოსტატს ახალ 1972 წელს.

რევაზ მაჭავარიანი



● საქართველოს სპარტაკიადის დროს ჩვენმა სპორტსმენებმა დაამყარეს მსოფლიოს ექვსი, ევროპის ექვსი, საკავშირო 11 და რესპუბლიკური 432 რეკორდი.

● საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა მოიპოვეს 79 მედალი, მათ შორის 28 ოქროსი.

ქართული სპორტის ბარაქა



1971 წელი ჩვენი ქვეყნის სპორტის ისტორიაში შევიდა როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისა და მიუნხენის XX ოლიმპიური ასპარეზობისათვის მზადების წელიწადი, როგორც წელიწადი საქართველოს მეხუთე სპარტაკიადისა. რა წარმატებები მოიპოვეს ქართველმა სპორტსმენებმა ამ გრანდიოზულ ასპარეზობებში?

დავიწყოთ იმით, რომ საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციას წლეულს მეთორმეტედ გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და სპატიო სიგელი. ამ მიღწევაში ჩვენთვის უველაზე დიდი მოკავშირე მასობრიობა არის, რაც ასე თვალნათლივ დაგვანახა საქართველოს V საზაფხულო სპარტაკიადამ.

რესპუბლიკის სპარტაკიადაში მონაწილეობა მიიღო 1 მილიონ 200 ათასზე მეტმა კაცმა — საქართველოს ფიზიკური კულტურის ყველა — 6.826 კოლექტივის წარმომადგენელმა. სპარტაკიადის დროს სპორტსმენებმა დაამყარეს მსოფლიოს ექვსი, ევროპის ექვსი, საკავშირო 11 და რესპუბლიკური 432 რეკორდი.

პირველ ჯგუფში გამოსულ 11 კოლექტივს შორის პირველი ადგილი დაიჭირა თბილისის ნაკრებმა კოლექტივმა, რომელმაც 2012 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა ქუთაისის სპორტული კოლექტივი — 960 ქულა, მესამეზეა აჭარის ასს რესპუბლიკის კოლექტივი — 921 ქულა.

რესპუბლიკური სპარტაკიადის შემდეგ საბოლოოდ დაზუსტდა ჩვენი ნაკრები გუნდების შემადგენლობანი და დაიწყო საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის მზადების უკანასკნელი ეტაპი.

რესპუბლიკის ნაკრები გუნდების განკარგულებაში იყო საუკეთესო სახპორტო ბაზები, სპორტსმენთა წვრთნას ხელმძღვანელობდნენ მაღალკვალიფიციური მწვრთნელები.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადასა და ქვეყნის ჩემპიონატებზე ვეჯიბრებოდით და ვეპაექრებით მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებ გუნდებს, რომელთა მოსახლეობა ბევრ შემთხვევაში რამდენიმედ აღემატება ჩვენსას, და რაღა თქმა უნდა, კარგ შედეგებს რომ მივაღწიოთ, განუწყვეტლივ უნდა ვაუმჯობესოთ მუშაობის ორგანიზაცია, ვეძებოთ მაღალკვალიფიციური სპორტსმენების მომზადების ახალი ფორმები, ვიყოთ ნოვატორები...

საქართველოში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის წარმატებები თუ ნაკლოვანებები რელიეფურად გამოავლინა საბჭოთა კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადამ. ამ გრანდიოზულ შეჯიბრებაზე ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს 79 მედალი, აქედან ოქროს 28 (მოგაგონებთ, რომ წინა ოთხსავე სპარტაკიადაზე ჩვენმა სპორტსმენებმა ოქროს 30 მედალი მოიხვეჭეს).

როცა ვაფასებთ სპარტაკიადაზე სპორტის სახეობათა მიხედვით რესპუბლიკის ნაკრები გუნდების გამოსვლას, მათ მიერ მოპოვებულ ადგილებს, სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა გუნდი, რომელიც სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა, კლასიკური სტილის მოჭიდავეები, რომლებმაც მეორე გუნდური ადგილი დაისაკუთრეს; ნიჩბოსნები (ბაიდარები და კანოე) და სასტენდო სროლის წარმომადგენლები, რომლებიც მესამე ადგილებზე გამოვიდნენ. რაც შეეხება მოცურავეებსა და მშვილდოსნებს, მათი მიღწევაც — მეოთხე ადგილი — დამაკმაყოფილებელია.

წარმატებანი ბევრად განაპირობა ჩვენი წამყვანი მწვრთნელების მიხეილ თოკაძისა და ბიძინა მაზიაშვილის (ჭიდაობა), ელენე გოცირიძისა და აკოფ კერესელიანის (მძლეოსნობა), მარგალიტა ტატიშვილისა და ლუკა იოაკიმიდის (ცურვა), მზია ჯუღელისა და სერგო ბურჭულაძის (ტანვარჯიში), შოთა წერეთლის (ძალოსნობა), არკადი ნიკოლაევისა და შუქური ჰედიას (ნიჩბოსნობა), ანატოლ მამაევისა და შალვა ჯაბიაშვილის (მშვილდოსნობა) დაუღალავმა მუშაობამ.

1971 წლის ზაფხულის ცხელ დღეებში სასპარტაკიადო მოსკოვიდან თბილისს-ქალაქს ბევრი სასიხარულო ცნობა მოდიოდა. განსაკუთრებით გაგვახარა ახალგაზრდა მოცურავემ თინათინ ლეკვეიშვილმა, რომელმაც 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში გაიმარჯვა.

როგორც ყოველთვის, მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ ქართველი მოჭიდავეები.

ოქროს მედლებით დაგვიბრუნდნენ თბილისში თავისუფალი სტილის მოჭიდავეები, — ტარიელ ალიბეგაშვილი, ლევან თედიაშვილი და შოთა ლომიძე. ოქროს მედლებით დაიმშვენეს მკერდი კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა — რომან რურუამ და ჯემალ მეგრელიშვილმა, სამბისტებმა — სევერიან ქარელმა და გურამ გოგოლაურმა.

ველოტრეკზე ბადალი არ ჰყავდა ქართველ სპრინტერს ომარ ფხაკაძეს, რომელმაც სძლია უველა მეტოქეს და თავის მრავალრიცხოვან ტიტულს საბჭოთა კავშირის V სპარტაკიადის ჩემპიონის წოდებაც მიუმატა.

როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვებით დაგვიბრუნდა ხელოვანი ქართველი ძალოსანი დიმიტრი შანიძე, რომელმაც ჩემპიონობაც მოიპოვა და საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდიც დაამყარა.

თუ ზემოხსენებული სპორტსმენების გამარჯვება ასე თუ ისე მოსალოდნელი იყო, ახალგაზრდა მძლეოსნის ანატოლ მოშიაშვილის ოქროს მედალი თარჯრბენში 110 მეტრზე ბევრმა სენსაციად მიიჩნია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის და, საერთოდ, მძლეოსნობის სპეციალისტებისათვის მოშიაშვილის წარმატება მაინც და მაინც არ იყო მოულოდნელი, რადგან ნიჭიერი სპორტსმენი უკანასკნელ დროს საკმაოდ კარგ და სტაბილურ შედეგებს გვიჩვენებდა, რაც პირველ რიგში მისი მწვრთნელის — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ელენე გოცირელის დაუღალავი შრომის შედეგია.

ოქროს ხუთი მედალი მოიპოვა საქართველოს ნაკრები გუნდის უველაზე ახალგაზრდა მონაწილემ — 14 წლის ნინი დრონოვამ, რომელსაც ტანვარჯიშის სპეციალისტები მომავლისათვის დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ქართველი მშვილდოსნების, სასტენდო მსროლელების, კანოესა და საბაიდარო ნიჩბოსნობის ოსტატებისა და სხვათა წარმატება, რომელთა გვარების დასახელება, ცხადია, შორს წაგვიყვანს.

როდესაც 1971 წლის სპორტულ მიღწევებზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველი — ევროპისა და აზიის ჩემპიონი, ჩოგნის საქვეყნოდ აღიარებული დიდოსტატი, რომელმაც სულ ორიოდე თვის წინათ კიდევ ერთხელ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სპატიო ტიტული.

ხელმარჯვედ სცემდა ჩოგანს თეიმურაზ კაკულიაც და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა წყვილთა შეჯიბრებაში.

ორიოდე სიტყვა ფეხბურთზე. არ შეიძლება არ აღინიშნოს თბილისის დინამოელთა წარმატება 1971 წლის საფეხბურთო სეზონში — ჩვენმა გუნდმა მესამე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

სასიამოვნოა, რომ წლეულს ჩვენი გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდნენ ახალგაზრდა ფეხბურთელები: მეკარე თამაზ სტეფანია, მცველები შოთა ხინჩაგაშვილი და ზარიბეგ ებრალიძე, თავდამსხმელები დათო ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი, ფირუზ რეხვიაშვილი და სხვები, რომლებიც ახლა გუნდის წამყვან და საიმედო ძალას წარმოადგენენ.

სასიხარულოა ისიც, რომ საბჭოთა კავშირის ეროვნული ნაკრების ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრები არიან გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელები მურთაზ ხურცილავა და რევაზ ძოძუაშვილი, ხოლო საბჭოთა კავშირის ოლიმპიური და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების წევრები არიან მანუჩარ მაჩაიძე, თამაზ სტეფანია, შოთა ხინჩაგაშვილი, გივი ნოდია.

საქართველოს ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა რიცხვმა დღეს მილიონ ორასი ათასს გადააჭარბა, რაც მრავლისმეტყველი ფაქტია.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის 3.200-ზე მეტი სპორტის ოსტატია, სპორტის 107 დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის 63 დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო და საკავშირო კატეგორიის 319 მსაჯი.

სპორტის მოყვარულთა ამ დიდ ოჯახს ემსახურება რესპუბლიკის 100-ზე მეტი სტადიონი, 912 სასპორტო დარბაზი, 60-მდე საცურავი აუზი, ნიჩბოსნობის 15 სადგური და 12 ათასამდე სხვადასხვა სასპორტო მოედანი.


აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარტო შარშან ქართველმა სპორტსმენებმა 60-ზე მეტ საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა. მათ მოუხდათ შეხვედრები უცხოელ სპორტსმენებთან როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ: ბულგარეთში, უნგრეთში, პოლონეთში, ირანში, თურქეთში, იაპონიაში, ინგლისში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, აშერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში.

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ დღეისათვის საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებში საქართველოდან 40-მდე სპორტსმენი ირიცხება, რაც ძალზე გვამაყებს. ვფიქრობ, ამ რიცხვიდან ნახევარს მაინც ვიხილავთ ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში, რომლებიც შეეცდებიან წარმატებით დაიცვან 1972 წლის ზაფხულში საბჭოთა სპორტის ღირსება მიუნხენში — XX ოლიმპიური ასპარეზობის ჭალაში.

გიორგი სიხარულიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.









თბილისელი გოგონა



■ ■ ■ ჯერ ისვენებს, მერე კი...

დაიხსომეთ ეს სახელი!

ეს ამბავი რამდენიმე წლის წინათ მოხდა.

„განთიადის“ სპორტსკოლის დირექტორმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა სერგო ბურჯანაძემ თავისი აღსაზრდელები მოციქულებად აფრინა დედაქალაქის სკოლებში—ნორჩ ტანმოვარჯიშეებს უნდა შეერჩიათ ნიჭიერი ახალბედები. მალე სერგო ბურჯანაძეს რამდენიმე ათიული პირველკლასელი გოგონა მიჰგვარეს. პატარებს სპორტული ტანვარჯიშის ელემენტარული სერხები შეასწავლეს. მერე შეჯიბრებაც გაიმართა. პაწია, სიმპატიური გარეგნობის გოგონამ ნინო დრონოვამ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. იგი თანატოლებზე დახვეწილად და კარგად ასრულებდა შეჯიბრების პროგრამით გათვალისწინებულ ვარჯიშებს.

მას შემდეგ არც ისე დიდი დრო გავიდა და აი ასრულდა საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ასპარეზობათა მრავალგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ლარისა ლატინინას სიტყვები, რომელიც ყველას აფრთხილებდა: დაიხსომეთ ეს სახელი! ნინო დრონოვა მალე აალაპარაკებს სპორტულ სამყაროსო. ვინ მოთვლის, რა ეპითეტებით არ ამკობენ დღეს პატარა ნინოს; ერთნი „ტანვარჯიშის მოცარტსაც“ კი უწოდებენ, სხვებმა „თბილისური საოცრება“ შეარქვეს.

„თბილისურმა საოცრებამ“ მრავალ საკავშირო თუ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ისახელა თავი. ტანმოვარჯიშე გოგონათა ყოველ ასპარეზობისას იგი ჩემპიონი ან პრიზიორია. 13 წლის ბავშვი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი გახდა. მის სახელს ეხლა მსოფლიოსა და შეშიკის ოლიმპიურ ჩემპიონთა და პრიზიორთა ტურიშჩევას, ვორონინას, პეტრიკის, ბურდას, ლაზაკოვიჩისა და სხვების გვერდით ახსენებენ.

ნაგიჯები...

ნინო დრონოვას მწვრთნელები სერგო ბერჯანაძე და ვალენტინა კლიმოვა დიდი სიყვარულით ლაპარაკობენ თავიანთ აღსაზრდელზე. თბილისელი გოგონა ბუნებას დიდი ნიჭიერებით დაუჯილდოებია, მაგრამ ეს ორი ადამიანი რომ არა, შეიძლება დღეს დრონოვი არ გვყოლოდა.

სერგო ორ შვილში არ არჩევს ნინოს. მამობილის ამაგით გაიზარდა გოგონა, რომელიც გრძნობდა მისთვის მზრუნველი ადამიანის სიტბოს და ყველაფერს ერჩია სერგო ბიასთან ყოფნა. ნიჭიერმა მწვრთნელმაც იცოდა ვის პატრონობდა, ცოდნას, უნარსა და გამოცდილებას არ იშურებდა გოგონას აღსაზრდელად

მექსიკოს XIX ოლიმპიურ ასპარეზობათა წინა პერიოდია. საბჭოთა კავშირის ტანმოვარჯიშეთა აბალაზრდული ნაკრები ლენინგრადში ყველიძეში წვრთნას. აქ სერგო ბურჯანაძეს თავისი აღსაზრდელები ჰყავს, აქვეა ნინოც. დარბაზის ერთ კუთხეში ჩუმად მიყუჩულა და თვალს არ აშორებს ქვეყნის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა გამოსვლებს. შემდეგ კი, თუ დროს იხელთებს, თამამად ადის იარაღზე. ცდილობს ახლახან ნასახი და განცდილი გაიმეოროს. კარგადაც გამოსდის. ზედიზედ ასრულებს ურთულეს ელემენტებს, ათვისებს არაჩვეულებრივი უნარი აქვს. სხვას თუ ასეულობით ცდა სჭირდება რომელიმე ილეთის დასაუფლებლად, ნინო ამას ორიოდე ცდით აკეთებს.

ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ტანმოვარჯიშის ბურდას 540-გრადუსიანი ბზრიალა ნაირსიმაღლის ორძელზე პირველად მოსკოვში ნახა ნინომ. აქვე პირველად იხილა უკვე სახელმოხვეჭილი ტანმოვარჯიშეები პეტრიკი, ტურიშჩევა, ვორონინა. ისინი გაოცებით იჩეჩდნენ მხრებს, როცა მათი შემყურე პატარა თბილისელი ტანმოვარჯიშე წინასწარ მოუმზადებლად ასრულებდა ურთულეს ილეთებს.

თბილისში კი თავის მწვრთნელებთან ერთად 6 თვე ხვეწდა ბურდას „ბზრიალას“, რომელსაც მანამდე მხოლოდ ბელორუსი ტანმოვარჯიშე ასრულებდა. სიბეჯითემ ნაყოფი გამოიღო, ნინო დრონოვამ სრულყოფილად აითვისა და კიდევ უფრო გაამდიდრა ბურდასეული რთული ელემენტი.

ოქროს გოგონა

ნინო დრონოვა ტანვარჯიშულ ასპარეზზე პირველად 1969 წელს გამოვიდა. ერევნის მახლობლად ოლიმპიურ სოფელ წახკაძორში მოზარდთა საკავშირო პირველობა მიმდინარეობდა. მაშინ ნინო ძალიან პატარა იყო და შეჯიბრებაზე სპეციალური ნებართვით დაუშვეს. არა, სასწაული არ მომხდარა, მაგრამ თბილისელი გოგონას გამოსვლა სასიამოვნო სიურპრიზი კი აღმოჩნდა. „თბილისურმა საოცრებამ“ ამ შეჯიბრებაზე მეორე საპატიო ადგილი მოიპოვა, თანაც ბევრ ცნობილ ტანმოვარჯიშეს გაუსწრო. მხოლოდ ქულის რაღაც მეასედებით ჩამორჩა პირველ ადგილზე გამოსულ ბურდას, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრს.

ოქროს პირველი მედალი „თბილისურმა საოცრებამ“ ლენინგრადში გამართულ მოსწავლეთა საკავშირო პირველობაზე მოიპოვა. გოგონა პირველი იყო ხტომებში, ორძელზე და თავისუფალ ვარჯიშში. მას შემდეგ ნინომ შემოიარა ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, იაპონია. ჩეხოსლოვაკიის ქალაქ გოტვალდში გაიმართა სოციალისტური ქვეყნების სპორტსაზოგადოება „დინამოს“ უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა პირად-გუნდური ტურნირი, რომელშიც ბულგარელი, რუმინელი, პოლონელი, გერმანელი და უნგრელი ტანმოვარჯიშეები მონაწილეობდნენ. 9,7 ქულით შეაფასა მსაჯთა კოლეგიამ ორძელზე ნინოს გამოსვლა.

მერე პოლონეთს ესტუმრა. სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირზე „თბილისური საოცრება“ დიდი წარმატებით გამოვიდა. იგი უძლიერესი იყო სამ სახეობაში, მრავალჭიდში 38,5 ქულა მოაგროვა და პოლონეთის საერთაშორისო ტრადიციული ტურნირის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

გუშინ ტრიუმფით შემოიარა „ამომავალი მზის“ ქვეყანა. იაპონიაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საბჭოთა, ამერიკელი, იაპონელი და უნგრელი ტანმოვარჯიშე გოგონები. იქ მოუგო ნინომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონს ლიუდმილა ტურიშჩევას, შედეგები საუკეთესო იყო. ადგილობრივ სპორტულ მიმომხილველებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დრონოვას დახვეწილმა ტექნიკამ. „როცა შეიტყვეთ, რომ გამოდიოდა 14 წლის გოგონა,— წერდა „ასახი“, — გადავწყვიტეთ, მიმდინარეობსო მზადება მონრეალის ოლიმპიადისათვის, მაგრამ მოვტყუვდით — დრონოვა მიუხედავად იმისა ბრწყინვალედ გამოვა, მისი ტექნიკა საოცარია“.

... მწვრთნელები და სპეციალისტები თბილისელ გოგონაში მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონს ხედავენ.

დღისათვის კი, შინ თუ გარეთ, მრავალი სპეციალისტი ჯილდო მოუპოვებია ოლიმპიური ჩემპიონობის კანდიდატის საგანძურში 28 მედალი ინახება. აქედან 25 ოქროა. ნინო ამდენ ჯილდოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ხუთ ოქროს მედალს, რომლებიც საბჭოთა კავშირის ხალხთა მხიარულ სპარტაკიადაზე მოიპოვა. იგი უძლიერესი იყო ორძელზე, ბჯენით ხტომებში. დირეზე და თავისუფალ ვარჯიშში. ამ იარაღებზე ნადავლ ოქროს ოთხ მედალს აბსოლუტური ჩემპიონის მედალიც მოჰყვა. პატარა გოგონამ მშობლიური საქართველოს გუნდს 35 ქულა შესძინა.

სიყვარული

ცხრიალა გოგონა მერცხალივით სრიალებს იარაღებზე. ორიელი სცანა. ნინო დიდებული მსახიობია, მაყურებელს რომ ხიბლავს პლასტიკურობით, მუსიკალობით, რიტმის გრძნობით, შესრულების თავისებური მანერებითა და უზადო ოსტატობით.

და განა მარტო მაყურებელი იხიბლება... თვით უმკაცრესი მსაჯებიც კი ზოგჯერ თვალს უხუჭავენ რომელიმე ილეთის შესრულების ნაკლს, რადგან მთლიანობაში შეუდარებელია...

ნინო 14 წლისა 13 იანვარს შესრულდება... ბავშვია! ნეტავ გაჩვენათ, როგორ გადაკოჭრიალდება ორძელიდან ჩამოხტომისას, როგორ გადაიკისკისებს ხოლმე ბალღურად, გულიანად... კისკისიც რომ გადამდები აქვს!

ნინო კეთილსინდისიერად ვარჯიშობს, თუმცა შესაძლებლობების ნახევარსაც არასდროს ამჟღავნებს. აი შეჯიბრებაზე კი მთელ ძალასა და უნარს ერთად უყრის თავს. აკი ამბობენ კიდეც — ამ ბავშვს ამოდენა პასუხისმგებლობა საიდან აქვსო. მაგრამ მთავარი მაინც ბუნების ნიჭია, თვითმყოფადი ტალანტია.

...ამ გოგოს თოჯინები უყვარს. თოჯინები ჰყავს შინ, სპორტულ დარბაზში. თითოეულს თავისი სახელი ჰქვია. ნინო ეფერება, უვლის თავის „შვილობილებს“.

კიდევ ვინ უყვარს?

დედა, უპირველეს ყოვლისა, უბრალო მშრომელი ქალი.

მწვრთნელები: სერგო ძია და ვალენტინა დეიდა. მათი ყველაზე მეტად სჯერა გოგონას.

უყვარს მშობლიური თბილისის 97-ე სკოლა, მერვე კლასი...

კიდევ რა უყვარს ნინოს?

მშობლიური თბილისი... უცხო ქვეყნებში ყოფნისას საოცრად მოენატრება ხოლმე თავისი ქალაქი და დაბრუნებისას ყოველთვის სიხარულით ეგებება გული.

თბილისსაც უყვარს თავისი პატარა!

ლაშა გარეჯელი

ახალი წლის შუაღამე

შუაღამეს ბევრი აღარა აკლდარა... ჩავწექი ლოგინში და ვითარცა სტუდ... ვითარცა... ვითარცა... წვეროს... ვითარცა... ვითარცა... ქვეყნის მუშას დაძინება არ გამჭირვებია და თანაც სიზმარი ვიძილისშორისე: ვნახე დიდებული დარბაზი განათებული და მდიდრად შემკული, შუაზედ ოქროს ტახტით, ერთი აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა კარები და მეორე დასავლეთისაკენ. აღმოსავლეთით მოისმა საამო ხმა სხვა და სხვა საკრავებისა, გაიღო კარები და მრავლის ხლებულობით დედოფლურად, მომცინარის სახით შემობრძანდა ახალი წელიწადი. მანტია-მოსილი და თავ-გვირგვინიანი სტუმარი ძალიან ჰგავდა ჩემს სატრფოს. კეკლუცად შებრძანდა ტახტზე და გარს შემოეხვივნენ მას სხვა და სხვა ტომის კაცები, ამავე დროს დასავლეთით მოისმა გახურვებული ბრანწის ტკაცა-ტკუცი. გაიღო კარები და ერთ დედაბერმა შემოჰყო თავი, ტალახით გალაფული, ჭარყვნილების ბეჭდით სახეზედ თმა გაწეწილი და ზურგზედ გუდა მოკიდებული, — ის იყო ძველი წელიწადი. თაყვანი სცა ახალ წელიწადს და რა შეიტყო, რომ ახალმა წელიწადმა ზიზღით შეხედა მას, საზარელის ღიმილით უთხრა: „ლამაზო ქალბატონო! მეც შენისთანა ვიყავი შარშან ამა დროს, მაგრამ ჰერა მხედავ დღეს რა ვარ? იცოდე, რომ შენც ჩემი ხვედრი მოგელის!.. ისეთ ქვეყანაში შედიხარ, რომელშიაც... სიფრთხილე გმართებს. უმჯობესია გამოიკითხო და გაიგო იმათი ალიან-ჩალიანი და ხამათ არ შეხვიდე. მე შემიძლია რამოდენიმე ცნობა მოგცე!" — ამ სიტყვებმა ცოტა არ იყოს ჩააფიქრა ახალი წელიწადი და მაშინ კი უთხრა დედაბერს: „შენ, დედა ჩემო, კენტი წელიწადი იყავ და ბედი არა ჰქონდა. მე კი ლუწი ვარ, ბედნიერი, და მასთანაც მომხმარე ხალხიც თან მახლავს. იმათის წყალობით ავს ავათ მოვეკიდები და კარგს კარგად. ჯერ ეს მითხარი — უპირველესი საჭიროება, განათლება, როგორ მიდის — კარგათ?

— „თითო ღერი სანთელი ყოველ ოჯახში იწვის, თუ არა მეტი, და სადაც სანთელი არ არის, იქ ცეცხლს ანთებენ მართალია შემა კი გაძვირდა, მაგრამ ახლა ტყიბულის ნახშირის იმედი აქვსთ ჭკუიანებს" — მიუგო ძველმა წელიწადმა.

— არა, მაგას არა გკითხავ მე გკითხავ გონების განათლებაზე!

— მაგისი კი რა მოგახსენოთ!.

ამის მომსმენმა ახალმა წელიწადმა გამოიხმო ერთი თავისი მხლებელი წითელი კაცი, რომელსაც „ხურება" ერქვა და იმას მიანდო რაღაც საქმე და შემდეგ ისე განაგრძო:

— რა უფრო ბევრი დაითესა შარშან და რა უფრო მოიმკო?

—ქვრივ-ობოლ-ოხრის ცრემლები, და მოიმკო ადვოკატობა.

— მაშ, ჩემო ერთგულო! (მიუბრუნდა შავ კაცს, რომელსაც რაღაც ყურში ჩაუჩურჩულა). შავმა კაცმა თავი დაუკრა და მოახსენა: „ბაშ უსტაო!" — და გაიდიმა.

— ხალხი გახსნილი არისო? — იკითხა ახალმა წელმა.

— როდესაც სძინავს, საზოგადოთ ყველა გახსნილია და კერძოთ კი როცა სამხარს სჭამენ ხოლმე! მიუგო. — მაშ კარგიო, უბრძანა ერთს ყვითელს კაცს... და ისევ მიუბრუნდა ბებერს.

— ახალგაზრდობა რას შვრება?

— არაფერს: ენა ექავება და წვერებზედ ხელს ისვამს. ბევრი უნდა გააკეთოს, მაგრამ ვერ ბედავს, საზოგადოებას ემონება...

— მაშ მათი აზრი რა არის?

— პერანგი.

— როგორ თუ პერანგი?

— დიახ, როდესაც პერანგს გამოიცვლიან, მაშინ აზრსაც იცვლიან ხოლმე.

— მწიგნობრობა მათი რას ამბობს? ხმას არ იღებს?

— როგორ არა, გამოდიან, იბეჭდებიან გაზეთები და ჟურნალები, მაგრამ მკითხველები ცოტა ჰყავთ, რადგანაც ქართული კითხვა ყველას ეზარება.

— ახლა ისიც მიბრძანეთ, ჩემო დედილო, ეგ ხომ საზოგადო იყო, ახლა კერძოობითი ცოდვები ვის რა ჩაუდენია, ისიც მომიყევი.

— ეგ შორს წავა. ჩემო შვილო, მაგრამ ამ გუდაში ყველას ცოდვის დავთრები მაქვს. ჩემს ხელში ვის რა ცუდი უქნია, ყველა ჩაწერილია, ეს წაიღე...

იამა ახალ წელიწადს, ჩამოართვა დავთრები და უბრძანა მის მხლებლებს: წაიღეთ ეს დავთარი და ჩააბარეთ აკაკი წერეთელს, რომ ყოველ კვირაში თითო თავი ამ დავთრისა „ცხელ-ცხელ-ამბებში" გამოურიოს ხოლმეო...

აქ გამომეღვიძა და ვნახე, რომ დავთარი მართლა ხელში მეჭირა და ნურას უკაცრავად, ბატონებო, თუ წლეულ ჩემმა „ცხელ-ცხელმა ამბებმა" შეახუროს ვინმე. ჩემი ბრალი არ იქნება — „ძალა აღმართს ხნავსო", მოგეხსენებათ.

აკაკი წერეთელი

რაზე წერდნენ გაზეთები 100 წლის წინათ

ნაირ-ნაირი

საახალწლო მეკვლე

შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი — კვალი ანგელოზისა! ღმერთმა მოგცეთ ჯიბეში ფული, თავში ჭკუა, ხელში ჩიჩილაკი, მხარზე ცული, შინ მშვიდობა და გარეთ გამარჯვება!

მეკვლეს თაბაუთი მოითხოვს სათვითაოდ დალოცონ ჯალაბობის ყველა წარმომადგენელნი. ჩვენი ჯალაბობა ჩვენი ქვეყანაა.

აბა, მხვნელ-მთესველნო, მომილოცავს თქვენთვის შობა-ახალ წელიწადი! მრავალს ამ დროს დაესწარით თქვენის ცოლშვილით. გიცოცხლოთ თქვენი ქულფათება, ავი თქვენს დუშმანს და სიკეთე თქვენს ჯალაბობას... ჯანი მრთელი და გული მხიარული მოგცეთ სახოომ. ირემა, ჯორელა, წაბლა და შვინდა გაგიმრავლოთ, თქვენს შრომას ნუ მოაკლოს თვალი ღვთისა, მოგასწროთ, ძმობილებო იმ დროსა, რომ ალაგას და უალაგოს, მთაში თუ ბარში, სარწყავში თუ ურწყავში ქსელივით გაბმულიყვნენ რუები, არხები, ლარები, მილები, რომ ღამის და დღის მეხრე გიჭებს სჭეროდეთ იღლიაში წიგნი და ხელში სახრე, რომ ყველა სოფლის სამსჯავროების, სამწერლოების გვერდით ჩაწკაპულიყვნენ სკოლები. მისცეს ღმერთმა ყუათი და დოვლათი თქვენს მაჯას.

ფეიქრებო, იხაროს თქვენმა ჯანმა, მაჩვენოს უფალმა თქვენი ხელობა გავრცელებული ჩვენში, ბევრი ოსტატ-შეგირდები მენახოს თქვენს საფეიქროში. თქვენი ხელობა ნათელი საბუთია იმისა, თუ როგორ უყვარდა ოდესმე ჩვენში ეროვნული ხელოსნობა!

ძალუებო, ნათლის დედებო და ნათლიჯალაბებო! თქვენა ხართ დღეს ქართველ დიაცის გამომხატველნი. თქვენშია დაცული სურათი ქართველის დედისა! ნუ მოგაკლოთ მაცხოვარმა კაი საჩეჩელი, ლამაზი ჯარა, კოხტა თითისტარი, მშვილდი და საქარგავი. კვალად ნუ მოგვაკლოს თქვენი გამომცხვარი პური, ნაზუქი, ხმიადი, ხაჭაპური, ქადა, ალაო, მჭადი... ნუ მოგვაკლოს თქვენს მიერ დამზადებული საახალწლო ბასილა, ბედის კვერი, ალვა, გოზინაყი, იცოცხლეთ დიდხანს, ძალუა ნათლიდედ ნათლი ჯალაბებო!

მეჭურჭლენო, ხარაზებო, ქარგლებო, მოგილოცავთ, განაძლიეროს ღმერთმა თქვენი ხელობა ჩვენში.

ჩვენ ბევრი ნასწავლი ქალები გვყავს, რომელთაც კაცებთან ერთად შეუძლიანთ ჭაპანის წევა ყოველგვარს საზოგადოებრივს მოღვაწეობის ასპარეზზე. გაუმარჯოს ამ გვარ ქალებს, წალმართის შრომის ალსადგენად!

შემოვდგი ფეხი, ქალებო, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი — კვალი ანგელოზისა!

„ივერია"

რაზე წერდნენ გაზეთები 100 წლის წინათ

ვინ რას ინატრებდა ჩვენში ახალი წელიწადის დღეს

ქართლელი:

ნეტავი რამე მანატრა,
ის ნატვრა ამისრულაო:
ჩვენი მტკვარი დოთ
მიქცია, —
გორის ციხე ჯამათაო;
იალბუზი შიგ ჩაყარა,
გადმიქცია ქადათაო,
მცხეთის ხიდი ამიყუდა
ხელში მომცა კოვზათაო,
ისეთი მუცელიც მქონდეს
რომ მეყოს მე სამხრათაო.

კახელი:

ნეტავი ნატვრა მანატრა,
ის ნატვრა ამიხდინაო:
მუხრან ბატონი ყმად მომცა
კახის ბატონის ბინაო,
მომცა ყაინის უღური,
ხონთქართან გამიდინაო,
ჭავჭავაძის კარის ღვინო
მილით შინ მომიდინაო.

იმერელი:

ნუ გამომილიოს სახლში ღომი, ბეღელში — სიმინდი, ქისაში ღერბიოს „მარკები", მაშოვიოს მუქთი „ადვოკატი". ჩემი სუფრა იყოს დაშვენებული ზუთხით, დოშით და ხიზილალით. ღვთისა და ხელმწიფის წყალობა ნუ მომიშალოს, ნუ მომაკლოს ჩემი ზრდილობა, ჩემი მოსწრებული სიტყვა-პასუხი, საქმეში კაცი მქნა. [illegible] კვეხა, ერთის და მეორისათვის ადვილად ცეცხლ-მოსაკიდი აბედი მქნა.

მეგრელი:

ღორონთის წყაროფამ ნუ მომაკლოს ლაზუტი (სიმინდი), ღუმი (ღომი), სულუგუნი (ყველი), მაშოვიოს კაი ღარდასმული ლაფშა მუქთად, ისე, ჩქირი გვიჩქინა, ინერში რო გოსხაპას, მომცეს ჯგირი ყანჯო, რომ ყირიმის მარილი და ფარვა ვზიდო, ქალაქ ტფილისში გამეღოს კაი ტრახტირი, სადაც სტუმრის პორტმონე მოუბარებლად მე მებარებოდეს, ღორონთმა მიჭყაროფას რკინის გზაზედ კონდუქტორობა და ისიფერი ხელობა ზღვისა და ხმელეთისა, რომ ხელთ ვიგდო ზღვა და ხმელი, მომცეს ოდიში — ტყე და სახნავი, რაც დადიანს ეკუთვნოდა.

რაჭველი:

ქვე მე რას არ ვინატრებ ჩემთვის, წმინდა ბასილამა ნუ გამომილიოს მარჯვენაში ღონე, ბეღელში პური, სახლში ქათმის შაშხები და ღორის ლორები, საქართველოში სამუშაო: ბარვა, სხვლა, ოდის დადგმა... კი ჭირი მოგჭამე!.. არ დამიჩლუნგდეს, ხერხი, ცული, ხუშტარა, ჩულუხი ჰხვრიტოს ჩემმა საჭვრეტელმა და პწკიპოს ჩემმა ნაჯახმა, არ დამირჩეს ნაშური, არ მიმტყუნოს ზუზამ და გონიომ, ქანიშკაპი კაი მომაყვანიოს და ნოიმანი აფრად დამრჩენოდეს, კახური ღვინო ბევრი შემასვას, ღორის ხორცი შემარგოს და სააღდგომოდ შინ მშვიდობით მიმიყვანოს ჩემს სახლუკაში.

გურული:

ჯერ წაიღებს ძვალს საწნახელზედა არაკუნებს და იძახის: „აგუნა, აგუნა" (მავნე სული) ჩვენს ქალებს ბევრი ყაჭი და აბრეშუმი არგუნა.. მერე საახალწლოდ გააკეთებს ჩიჩილაკს, რომელზედაც ჯვარედინად დაარჭობს ვაშლებს, მოვა და ინატრებს: უპირველესის მწერლის ნიჭს, დათა გუგუნავას გალობას, კილოს და მიმოხვრას, დიმიტრი გურიელის ოქროვერცხლს, გამოჩენილი კაცის ღონე-ვარჯიშობას და ვაჟკაცობას, მამიას ენა-მჭევრობას, სიტყვა წყლიანობას...

ფშაველი:

მრავალ წელს ბედნიერთა! ჩემი ხმალი მტერზედ მძლე იყოს, არ გადატეხილიყოს, ჩემი დროშა-ალამი გაშლილი მტერს თვალს უბამდეს, ჩემს ტყვიას ლიშანი ჰკოცნიდეს, მტერი დამემარცხოს, მიმატოს წლის აკვანსა, იმოდენ სარჩო-საბადებელ, ჯოგ-საქონელი მომცეს და მიმრავლოს, როგორც ცაში ვარსკვლავი, წყალში ქვიშა!..

ხევსური:

წმიდაო ბასილ! შენ დღეს შემხვეწურს ნუ მომიწყენ, ნუ მომიძულებ!... გეძახოდე — გამიგონიდი, გეხვეწებოდე — შემიხვეწიდი, თავობის წულისად გეხვეწებოდე — წულს მომიმატიდი... ჩემსა მყუდროშია პურის მჭამელსა, წულის აკვანსა, აბჯრის ამღებსა, მეკვამურსა მწე ექმენ... იწროს ვიყო ფონს გამომასხემდი, სნეულს გახვეწებდე — სნეულს მილხინდი, თუ ველთ გავიდოდე, აბჯარს აგილებდე — შენი დოვლათი დამახმარიდი, მტერს მივდევდე — მიმწივიდი, მტერი მომდევდეს — გამომახსნიდი, ავის დღისაგან, ლაღის მტრისაგან, მწარის სიკვდილისაგან მიხვაიშნიდი, ზაფხული მშვიდობით გადამარიდი, რთველი მზიან-ბარაქიანი დამიყენიდი, ხარისა და მხრის ნამაშვრალს ჯვარი დამიწერიდი, მშველდი, მწყალობდი, მცევდი, მფარვიდი! თუ რამ შეგცოდო, თუ რამ შეგაწყინო — შემინდვიდი, აგრემც გაგემარჯვება! შენ ხევსურთ თავ-ჯალაბობისა, ორფეხ ოთხ-ფეხისა, კაცისა, საქონლისა, ქუდოსან მანდილოსნისა მწყალობელ და წალმამდეგ იქმენი, ბატონო, ღმერთო ჩვენო!..

რაფიელ ერისთავი

საახალწლო ფელეტონი

კაცის ბუნება იმას ითხოვს, რომ კაცი გავლილ გზას და ასრულებულ შრომას ერთბაშად თვალს რომ მოავლებს, მის გულში შემდგომმა ამაყმა ფიქრმა უნდა გაიღვიძოს: მე გავიარე ეს გრძელი გზა, მე შევასრულე ეს მძიმე და ძნელი შრომა.

ზოგიერთი დღევანდელი ამაქვეიც ამ გრძნობას ემორჩილებიან. იმათ, მართალია — არც გზა გაუვლიათ, არც შრომა აუსრულებიათ, მაშასადამე, არც გავლილი გზის დანახვა შეუძლიათ, არც ასრულებული შრომის, არც ერთხელ იმათ აქ გზის და შრომის დათვალიერების სურვილი არ მოსვლიათ მთელი წლის განმავლობაში, — მაგრამ, უმიზეზოთ, უთავბოლოთ მიღებული ახალწლის დღე რომ დგება, ეს კაცები უეცრათ იხსენებენ, რომ მთელი ერთი წელიწადი გაუტარებიათ შარშანს აქეთ, მერმე როგორ გაუტარებიათ? ისე რომ არც ერთხელ გულში მაღალი გრძნობა არ ანთებიათ, არც ერთხელ არ უკითხავთ თავიანთ თავისთვის, — რა მიზნისათვის, რა საქმისათვის ვისა ან და რის სასარგებლოთ სცხოვრობენ ისინი ამ ქვეყანაზე, რა უნდა გადასცენ შემდგომ შთამომავლობას, და რით ისახელონ თავი საზოგადო ცხოვრებაში?

არც ერთ ამ კითხვას მათ თავში მგზავრათაც არ გაუვლია. უგრძნობელათ, უმიზნოთ, უღვაწლოთ გაუთენებიათ იმათ სამას სამოცდა ხუთი ღამე, და სამას სამოცდა ხუთი დღე დაუღამებიათ. სამას სამოცდახუთი დღე ხუმრობაა?

სწორედ საკვირველ ქმნილებათ უნდა მიაჩნდეს თავისი თავი იმ პირს, რომელმაც მთელ წელიწადში სამას სამოცდა ხუთი დღე უგრძნობლად, უშრომოთ გასძლო და, რომლის ტვინი, გული და გრძნობა იანვრის პირველს 1872 სწორეთ იმნაირივეა, როგორიც შარშან ამდროს იყო, ესე იგი სუსტი, უხეირო და უძლური.

ვისაც შარშანდელი წელიწადი თავისთვის და საზოგადოებისთვის უსარგებლოთ გაუტარებია, იმას სიამაყე და თავის მოწონება — რასაკვირველია — მოუხდება. ჩემი აზრით, ის მეტის ღირსია და ქვეყანაზე ღმერთს ჩემთვის ამ საქმის გადაწყვეტის უფლება რომ მოენდო, ამისთანა კაცს დიდ შუშაში ჩავსვამდი და სპირტში შევინახავდი, — შემდეგ შთამომავლობის დასაჯერებლათ, რომ ჩემს დროს, 1872 წელს, ამისთანა პირები ჩემს ქვეყანაში არსებობდნენ.

ნ. კანდელი

„დროება"

რაზე წერდნენ გაზეთები 100 წლის წინათ

რედაქტორი გივი ქარბელაშვილი

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488

ფასი 5 კაპ.